

## კერძასათვის

### ნაწილი პირველი

-- ასე, ჩემო ექვთიმე, ერთად ცხოვრება არ სურს, თვარა ყველაფერში რავა იქნებოდა წინააღმდეგი? დედაკაცს ერთი სიტყვა ვერ უთქვამს, რომ ხუნაგივით ყელში არ ეცეს მისი ქაფარი ცოლი.

-- მისმა წყევლამ დამიკარგა ჩემი ფილიპე. მაგას დაეკარგა თვალში სინათლე! -- ჩაუმატა პასიკიამ.

მოხუცებული, სოფელში პატივცემული ექვთიმე ჯანელიძე მშვიდად უსმენდა ცოლ-ქმრის დაუსრულებელ საჩივარს ძმასა და რძალზე.

-- აქამდი რადგან მისულა საქმე, სხვა რაღა საშველია, უნდა გეიყაროთ... მარა... მაინც რაზე მოგივიდათ უსიამოვნება?... დღეის თხუთმეტს ქე ვიყავი აქანე და არაფერი მინახავს იმისთანა...

-- რას ბრძანებ, რას ბრძანებ? დღეის თხუთმეტს კი არა, თხუთმეტი წელიწადია, შე დალოცვილო, ვითმენტ და ვითმენტ, ხო იცი? ვინახავთ ნამუსს. მაგრამ, რომ არაფერი გეგვეწყო, წყალი რა არი, ცივი წყალი, ისიც კი ენანება მაგ საწყალს ჩვენთვის.

-- იქნება თქვენ მეტს ხარჯავდით ოჯახში და ეს წყინდათ? -- დაეკითხა ექვთიმე, რომელიც ახლა იმის ანგარიშში იყო, თუ რამდენი ერგებოდა გასაყოფი.

-- მეტს რაში დავხარჯავდით? ორი ცოლ-ქმარი ჩვენ ვართ და ორი ისინი არიან, ორი ბაღანე ჩვენ გვყავს, ორი -- იმათ...

-- არ შეგჭამოს მიწამ! ახლა ჩვენზე ხელმომჭირნეთ რათ იქნება? ის კი არა, სასულიერო წოდებისა ვარო და მისი კუდაბზიკობით სული გვაქვს წაღებული. სიხარბე, ბატონო ექვთიმე, სიხარბე! ამ უკანასკნელათ რეიზა ატეხა შფოთი და დავიდარაბა, არ იტყვი?... -- პასიკიამ სული მოითქვა და განაგრძო, --- სულ რავა დეიკუნტოს კაცი?... მეც ქე მყავს ჭირისუფალი. ვიფიქრე, ერთი ჩემს სახლს მე-ვინახულე, თვალს გავახელ, ბაბუას დავალოცვინებ შვილიშვილებს-მეთქი. ხელცარიელი ვერ მივადგებოდი დედაბოძიანათ "ჩემი შინ", რჩენა კი არ დეეზარებოდათ... იცოცხლე მე იმათ ვუყვარდე! თვალში რო ჩოუვარდე, ხელს არ ამეისობენ... ღმერთმა მრავალი მოგცეს, მრავალი იმათ ჰქონდეთ სახლში მონაწევი და კარში ნაშოვნი, მარა ჩვეულებაა... რას იტყვის მტერი, საგმალიც კი ვერ მეიტანესო!.. წევყვანე ერთი უკუდო გოჭი, ორი წვეთი ღვინო წევიდე და ორი ღვეზელი. ეს იყო და ეს. სიტყვით იტყვის კაცი, თვარა ჩასათვალში კი არაა მისაღები. აქანიც რომ დავრჩენილიყავით, კიდო მეტს არ დავიხარჯებოდით? უკან რომ დავბრუნდით, შენს მტერს და ავს მე ამბავი ვნახე. სამხრობის დრო იყო. გული ქე მეუბნებოდა წასვლის დროს, რომ კაის არაფერს იზამდა ჩემი რძალი ქალბატონი, მარა ამას რავა ვიფიქრებდი?... შევედი სახლში, ვაი ჩემს თავს... კერიაზე ცეცხლი არ ანთია... გადვიხედე იქით: ტახტ-ლოგინზე არც საბანი, არც ზანდუკი! თუკი რამე ჰქონდა, სულ ყველაფერი --- გატეხილი

დანა და სამფეხი სკამიც --- ქე წეელოთ. ბიჭო, რა ამბავია?

რა და ჩემს ქალბატონს გეეტანა "ნიგუზარი" და ქე წასულიყო. ეს იყო და ეს.

-- დედა, დედა, რავა გალესა ენა ამ ოჯახის ჩამქრობელმა! რომ გიყურებ, ქალო, შორიდან, არაფერს გეუბნები, ასე უნდა არაკუნო? კლიტე არა აქვს ამ შენ ენას? რო გაგიგდია ეკლესიის ზარივით და აწკარუნებ... შეგარჩენ თუ, რავა გგონია?

ოლღაი მართლაც რომ გენიოსი იყო გინება-წყევლისა. ნამდვილი ფსალმუნების შედგენა შეეძლო კრულვისა და დაცინვისა. იგი ყოველთვის აცლიდა მოწინააღმდეგეს ლაპარაკს; მერე რომ მოყვებოდა, ქვესკნელში ჩააძვრენდა. -

-- ფილიპის სიკვდილსაც რომ მე მამბრალე, გამოტვინებულ, სარკე თუ არ გაქ, წყალში მაინც ჩეიხედე. გამხმარი ხარ ფარგასავით, რძე შენ არ გივარგა და მოვლა შენ არ იცი, მოგიკვდებოდა, აპა რა დაგემართებოდა, შენ თვალდაფსებულ.

-- კაია, ქალო, კაი!.. გეყოფა, -- ჩაერია ნიკოი ლაპარაკში, -- გინდა ჩვენი გათიშვა და ჰა, გევიყოფით და რაც ამით გაბედნიერდები, ემსაც ქე ვნახავ...

-- შენ რაც დეესახლო, მაგ შენ კოდარა დედაკაცს დააქადნე. ჩემთან რა საქმე გაქვს. დეეტიე მადანე...

-- ახლა ჩხუბი აღარ ღირს, ბატონო ოლღაია, --- დინჯათ ურჩია ექვთიმამ, -- საქმე ისე მოწყობილა, რომ უნდა გეიყაროთ. საბოლოოთ მაინც ნუ დაკარგავთ ძმობას და მეზობლობას.

-- ძან სამეზობლოა, მისმა თავის გახეთქამ. პასიკია უნაბიძის ქალი, ---- და ოლიკომ ძალათ გაიცინა.

- კაი შვილი შენ ხარ, კაი მიეცა შენს ნადიაკვნარ ბაბუას...

დიდხანს ჩხუბობდენ დედაკაცები. ექვთიმე წავიდა. ესტატე, რადაც ბედათ, შინ არ იყო და ნიკოიე კი ქალთა კაპასობაში ჩარევას არ კადრულობდა. პირიქით, იგი ზოგჯერ მათ დაშოშმინებას აპირებდა, მაგრამ არაფერი გაუდიოდა.

## II

გადახრილია მზე. დუდუნით მიდის პატარა მდინარე. წყლის პირათ ფერდობზე დატარებული სიმინდი დღის სიცხით მოწყენილი იწყებს შრიალს... სიო დასცურავს, ვით უხილავი მოცეკვავე. ყანებში სამოროდოთ გაფანტული მუშები ოდნავ მოსჩანან. ახლა არ მუშაობენ, თოხებს დაყრდნობიან გამაგრილებელ სიოს პირველი შემობრვით გახარებულნი და მასლაათობენ.

-- ა, კაცო!.. -- მიმართა ესტატემ თავის სულ უმცროს ძმას მინაიას, რომელიც გვერდში უდგა და თოხის პირს გამოჭრილი ჩალით მიწას აცლიდა.

-- რა გინდა?

-- იცი, რომ მე და ნიკოიე ვიყოფით?..

-- ვიცი... ძან გლახას შობით... -- წყენით უპასუხა ბიჭმა.

-- რა ვქნა, კაცო? რას უზამ ამ ქალებს? დღე არაა მოსვენება და ღამე. მე და ნიკოიე ერთმანეთს რომ შევაკვდეთ, უკეთესი იქნება?-

ორივე გაჩუმდა.

მინაიე 15 წლის ბიჭი იყო, მაგრამ ცხოვრების "ჭაპანწყვეტაში" ადრე ჩავარდნამ საკმაოდ გამოსცადა და დაავაჟკაცა.

-- მერე შენ რას აპირებ? --- დაეკითხა ისევ უფროსი ძმა.

- რას უნდა ვაპირებდე?- არაფერს...

-- შენ ჩთან წამოდი... მე და შენ ნუ გევიყოფით.

მინაიე ამაზე დიდი ხანი ფიქრობდა. ესტატე უფრო უყვარდა. მასთან დარჩენა ერჩია, მაგრამ ოლღაიასთან ცხოვრება უძნელდებოდა; თანაც ნიკოის მიტოვება არ სურდა -- ორ ძმის ერთის არჩევა უხერხულათ ეჩვენებოდა.

-- მე წავალ! .. --- უცბად თქვა, თითქმის წამოსცდა მინაიას.

-- სად? --- გაკვირვებით დაეკითხა ესტატე.

-- ქვეყანა დიდია... სადმე სამუშაოს ვიშოვი. .

-- რატომ გინდა მიგვატოვო?

-- რისთვის უნდა დავრჩე?.. ადგილი ამდენი ხანიც არ გვყოფნიდა და ახლა, თუ გავიყავით, რა შეგვხვდება?.. ცალკე დასახლებას ვერ მოვახერხებ და რომელიმესთან დადგომა რა სიკეთეს დამაყრის?

მინაიას წინათ მხოლოდ გულში ნადები აზრი არ მოსწონდა, მაგრამ ახლა ნათლად გამოთქმული მოეწონა. წინათ თუ ყოყმანობდა, არ იცოდა რა გადაეწყვიტა, ახლა მუსაიფმა დაამშვიდა და გადააწყვეტინა.

-- ესეც შენ იცი, მარა ვის ჩააბარებ შენს ნაწილს?

-- რავაც მოგვიხდება, ვინ იცის, რა მერგება.

-- ეს საყანე მაინც დამიტოვე და სხვა რავაც გინდოდეს... შეგიწახავ. მუდამ გარეთ ხომ არ დარჩები, მოხვალ -- დაგჭირდება. თუ გინდა ფულად მოგცემ...

-- კაი, მარა უსათუოდ უნდა გეიყოთ?.. მოგეცადათ ერთი ორი წელიწადი... წელს გეიმაგრებდით. ი მოზრები წამეიზრებოდნენ და თითო უღელი ხარი გერგებოდათ. ახლა რას იზამთ -- ან შენ გეყოლება უღელი ხარი, ან ნიკოიას...

-- ნუ მეტყვი მაინც!.. ვიცი რა ცეცხლშიც ვარდები, მარა რა ვქნა?.. კიდო კაი თუ ღვთისნიერი შუაკაცები იქნენ, ჩემი წვრილი ცოლ-შვილის უბედურებას შეხედეს და ისე გაგვასამართლეს... თვარა, შენს მტერს, თუ ორივე ხარი ნიკოიას აკუთვნეს... შენი კაცი ვინაა?

-- ვისაც ბიძიე ოქროპილე ეირჩევს...

-- შენთვის არ უკითხავს?

-- ქე მითხრა წინაზე, მარა ვიფიქრე, ჯერ არ გეიყოფიან-თქვა და არაფერი მითქვამს.

--- რა გითხრა იცი, სიმონე დანიშნე...

მინაიამ პასუხი არ გასცა.

-- სიმონე ნამუსიანი კაცია... არც შენ გიღალატებს და არც ჩემს დახრჩობას მეინდომებს.

არც ახლა გასცა პასუხი მინაიამ. თოხი მხარზე გაიდვა და ქვედაჰყვა, რომ ახალ სვრელს შესდგომოდა.

ესტატე უკან გაჰყვა.

-- მაინც ოქროპილე ვის გირჩევს?

-- ოდანია იმედაძეს...

-- თქვენ ორის საქმეა, მარა ოდანიას მეიყიდიან და მერე უყარეთ კაკალი! მაგი არ იყო, სტეფანიის ოჯახის გაყოფაზე რომ მეითბო ხელი და ბიქტორიას საწყალ ობლებს "ჭირნახულში" ნაწილიც კი არ მიცა?

ახალი და უკანასკნელი სვრელი მალე ამოათავეს. თითო-ოროლა სიტყვით თუ მიმართავდენ ერთმანეთს. მუშაობდენ გამალებით: ორივეს ეჩქარებოდა. მინაიეს უნდოდა ბიძია ოქროპილე ენახა, ესტატეს კი ოდანიასთან მოლაპარაკების გეგმა უნდა შეედგინა ოლდიასთან ერთად.

\* \*

-- ბიძია ოქროპილე, ბიძია ოქროპილე, მომიცადე, საქმე მაქვს!---  
მიამახა უკანიდან მინაიამ, როგორც კი დაინახა ყანიდან დაბრუნებული მხარზე თოხგადაგდებული ოქროპილე.

-- რა გინდა, შვილო, მალე მითხარი! ლოცვაზე მიგვიანდება..-

-- ჩვენები იყოფიან... ვის ნიშნავ ჩემგან?

- აკი გითხარი, ოდანია იმედაძეს-თქვა...

-- ესტატიემ მირჩია, სიმონე დანიშნეო....

-- უ, ის სულწაწყმედილი ის!.. იცის, რომ სიმონე ხათრს ვერ გოუტებს, პურმარილს დოუფასებს და მიტომ ამბობს ასე... მარა რავაც შენ გინდა...

-- არა, ბიძია, შენ უფრო იცი. თუ ოდანიე ჯობია -- ოდანიე იყოს.

\* \*

ესტატე ისტუმრებდა თავის ცოლს ოლდიას და თან ჩურჩულით აზარებდა:

-- ასე უთხარი, ახლა შენზეა ყოლაფერი-თქვა, გინდა დაგვასახლებ, გინდა აგვყრი-თქვა...

-- იქნება, კაცო, არც ქე იქნეს ი კაცი დანიშნული და ტყვილა რაზე ვიჭრით თავს...

-- რავა არა... ოქროპირას იგი უნდა თურმე და მინაიე რავა გადავა მის ნებას...

-- მერე რას დავპირდე?

-- რა ქენი იცი: დაპირდი შენ შვილს დიაკვნობას უშოვი-თქვა---

-- მერე დამიჯერებს?

-- დაგიჯერებს.... დაგიჯერებს... უთხარი შენობიე, ბაბუაჩემს მღვდლებში დიდი ნაცნობობა ყავს და თავს გადავდე-თქვა... და ეს სამი მანეთი ქე მიე ჩუმათ ოდანიეს, რომ წამოხვალ მაშინ..

ოლდია გაემგზავრა.

ეჭვით, მოსაზრებით სოფელი დიდი ხანია ფიქრობდა, ხაჭარა-შვილები იყრებიანო.

ახლა დაბეჯითებით დაიწყეს ლაპარაკი.

წყაროზე შეყრილი დედაკაცები გაავსებდნენ კოკებს, დაიდგამდნენ გვერდზე და მოჰყვებოდნენ როგორც ოლღაის, ისე პასიკიას გაკიცხვასა და ქებას.

საკვირველი იყო, რომ ერთი და იგივე ქალი დღეს თუ ოლღაიას ექომაგებოდა და მოწინააღმდეგეს მუსრს ავლებდა, ხვალ პასიკიას დაუწყებდა მფარველობას და ოლღაიას დასცინოდა:

-- შენ გენაცვალე, დიაკვნის შვილიშვილი კი არა, ახლა დეკანოზის ქალები გვყავს რძლებად და ისე აცხოვენ მჭადს და ცეხვენ ღომს, რომ სიტყვას არ იღებენ! ვერ შეიშნო პასიკიას პატივისცემა, არ დააფასა პასიკიის ალალი გული და აწი იკვინტრიშოს, როცა თვითონ მოუხდებდა ტომრის ზურგზე მოკიდება და წყლის თრაქვა...

გლეხები უფრო დინჯათ უყურებდნენ საქმეს. ერთი ძლიერი ოჯახის მაგიერ ორი სუსტის გაჩენა საერთოდ სოფლისათვის საზარალო იყო. ჭირში და ლხინში ძლიერ ოჯახს ყოველთვის შეეძლო ხელი გაეწყო ხარით, ურმით, მუშით... სუსტი კი თვითონ მოითხოვდა დახმარებას.

მაგრამ როცა დანამდვილებით გაიგეს, რომ გაყოფა გარდუვალიაო, ბევრი ჩაფიქრდა.

სტეფანია ხაჭარაშვილს უნდოდა, თუ მოსახერხებელი შეიქნებოდა, "წყაროს პირი" დაერჩინა და ამგვარათ "გაემრგვალებია" თავისი "წვადივით გაგრძელებული" საყანე.

ბიქტორია ჯალაღანია ხულას მიაჩერდა, ვინ იცის, ეგებ გაჰყიდონო.

ზოგი ხარს უთვალთვალებდა, ზოგი ძროხას და ზოგიც ცხვრით კმაყოფილდებოდა.

ასეთს გამონაგარიშებაში, ასეთს ფიქრში, თუ როგორ მოეთხოვთ ხელი, იყვენ გლეხები, მაგრამ ხაჭარაშვილებს და მათ მედიატორებს ჯერ დრო არა ჰქონდათ. საქმეს შესდგომოდნენ:

მოსაკრეფი იყო ვენახი.

მოსატეხი იყო სიმინდი.

ყველა უცდიდა რთვლის მოთავებას.

\* \*

გათავდა სიმინდის რჩევა... ფუჩეჩიც კი შეჰყარეს საბძელში; ხმება ნალიაში გადარჩეული ტარო. უკლო დუდილი ჭურებში ჩასხმულმა ტკბილმა. ყანებში ძნად დამდგარ ჩალის კონებს წინანდებურად უგულოდ აღარ ჩაუვლის საქონელი, არამედ შეჩერდება და უფრო ნედლს ფურცელს გამოგლეჯს და უმადურად შეექცევა; ჯერ ვერ მისჩვევია ხმელს; მუცელი მამლარი აქვს ოდნავ შეყვითლებული ბალახით.

ხშირათ აირევა ჰაერი და მოვარდნილი ქარი დააფრიალებს ფოთოლს, ფუჩეჩს...

- ისმის ხმა მხიარული სიმღერისა.  
გოგოები გათხოვებას ელიან.  
ბიჭები --- ცოლის შერთვას.  
ცოტა ხნით მიწის მუშამ იგრძნო შეღავათი.  
შემოდგომაა.

\* \*

ხაჭარაშვილის სახლის დერეფანში კარგა ბლომათ მოუყრია თავი ხალხს.

აქ არის ექვთიმე ჯანელიძე.  
ოდან იმედაძე.

სილიბისტრო ჯალაღანია.  
ესენი არიან მედიატორები.

მოუწვევიათ მათ სოფლის მწერალი იასონ სირბილაძე.

დილაა. ადრე. საუზმე გაუთავებიათ. ყველა იმშუმნება, ყველა ერიდება საქმის დაწყებას.

-- აბა!.. რაც უნდა მოხდეს, უნდა მოხდეს... დავიწყოთ ბარედამ, - წარმოთქვა მწერალმა.

ეტყობოდა, ყველა ერიდებოდა ოჯახის დანგრევას და ხელს ჰკიდებდა უსიამოთ.

-- დევიწყოთ, ბატონო! --- დაადასტურა ექვთიმე ჯანელიძემ.

-- ჯერ, ბატონებო, იგი გვიბრძანეთ, რაა გასაყოფი, -- გააგრძელა სიტყვა მწერალმა და დაბალი სუფრის შუაში დაჯდა. ირგვლივ შემოუსხდნენ მედიატორები; წინ დასხდნენ მორიდებით ნიკოი, ესტატე და ოქროპირე, მინაის მზრუნველი. თვითონ მინაიე შორიახლოს კარის საძირკველზე ჩამოჯდა. ქალები ფეხზე დარჩნენ, ვითომ საქმეში არ ვერევიდნენ.

ნიკოი ძლიერ ნასიამოვნები იყო, რადგან უკვე შეეტყო, რომ სოფლის მწერალი, იასონ სირბილაძე, თუმცა მის მოვალეობას მხოლოდ მედიატორების მიერ ნაბრძანებისა და ნაკარნახევის ჩაწერა შეადგენდა, ახლავ მეთაური გახდა.

სირბილაძე კი ნიკოიას ყავდა მოქრთამული.

- რა იქნება, შენი ჭირიმე? ხომ იცი ღარიბი ყაძახის ამბავი...

- ა, რასაც უყურებ ისაა -- ეზო და ვენახი... ერთი საყანე ახოში... ერთი...

დაიწყო ნიკოიამ, მაგრამ მწერალმა შეაჩერა:

-- ეს ქე ვიცი... მაგას ჯიბეში ვერ ჩეიდებთ... შენ ეს გვითხარი, რა გაქვს დახარჯული ოჯახიზა?

- მე, -- უპასუხა ნიკოიამ, --- და გავათხოვე... მინაი პეტერე იყო მაშინ და არაფერი დაუხარჯავს, ესტატე კი ჯამაგირში იყო...

-- მე, --- საჩქაროთ ჩაუმატა სიტყვა ესტატემ, -- ჯამაგირში რომ ვიყავი, ცხრა თუმანი გამოუგზავნე სახლში...

-- მეიცა, მეიცა!.. ჯერ ერთმა თქვას და მერე მეორემ, -- შეაჩერა ექვთიმემ ესტატე.

-- მართალია, --- ჩაერია ლაპარაკში ოქროპირა, --- მამა რომ გადევცვალათ, მღვდლისაგან ასესხეს 50 მანეთი და იგი გეიზარდა

სამ წელიწადში 12 თუმნათ. ღვთისნიერი კაცია, მეტი ერგებოდა სარგებელი, მარა... ცხრა თუმანი ესტატის გამოგზავნილი მე თვითონ წოულე მღვდელს, და დანარჩენი -- ააშენა ღმერთმა მისი ოჯახი! -- ერთ ძროხას დაგვჯერდა.

-- კაი! ეს ცხრა თუმანი ესტატის შემოუტანია ოჯახში; ნიკო-ია შენ კი რა დახარჯე დის გათხოვებაში? შეეკითხა ისევ მწერალი ნიკოიას.

-- თხუთმეტი თუმანი.

-- რაო? რაო? -- ვერ მოითმინა ესტატეს მეუღლემ ოლღამ.

-- რაი და თხუთმეტი თუმანი დამიჯდაო... --- გაიმეორა მწერალმა.

-- ისე უშველის მაგას ღმერთი... რა ხვითო გაატანა ნეტავი?

-- ვერ დააყენა ენა, ვერ დააყენა? --- შეუბღვირა რძალს პასიკიამ და სახლში შევიდა გაკაპასებული, თითქოს იქიდან მოეღოს შველასო.

-- გვაცალეთ, დედაკაცებო, გვაცალეთ, ჭურს არავინ კითხავდა და ასი კოკისა ვარო, რა თქვენი საქმეა! --- გაწყრა ოქროპირე, ხაჭარაშვილების ბიძა.

-- რატომ ახლა... თუ სხვა იტყვის, მაგიც ქე იტყვის, -- შენიშნა სილიბისტრო ჯალაღანიამ, ესტატის დანიშნულმა მედიატორემ.

ყველას აშკარათ ეტყობოდა ვის მხარეზედაც იყო. მხოლოდ ოღანია იმედაძეს "ჩაექინდრა" თავი, ხმას არ იღებდა. ძლიერ სინდისიერად თლიდა დიდი დანით პატარა ალვისხის შტოს და ძლიერ უსინდისოდ აპირებდა ემოქმედნა... ოღლიასთან მოლაპარაკებას და სამ მანეთს ტყუილა არ ჩაევლო... გადაწყვეტილი ჰქონდა დაევიწყებია მინაიას ანგარიში და ყველაფერში დასთანხმებოდა ესტატეს მედიატორებს. ამიტომ იყო გაჩუმებული და მხოლოდ საჭირო წუთში მოქმედებდა.

აბა რა ექნა: სამმა მანეთმა თავიდან მოაშორა კარს მომდგარი მოვალე და თუ ოღლას მეცადინეობით მისი შვილი დიაკვნობას იშოვიდა, ეს ხომ სულ დასახლება იქნებოდა... მინაი კი, -- ფიქრობდა "გადაბირებული" ოღანიე, -- რას გამიკეთებს?

ზოგჯერ ოღანიე იმითაც იმართლებდა თავს -- უმცროსმა, უცოლ-შვილო ძმამ თუ ცოტა რამე დაუთმო უფროს ძმას, "ქვეყანა არ დაიქცევას".

სახლში შესული პასიკია მალე დაბრუნდა და მსაჯულებს დიდი გაყვითლებული ქაღალდი გადასცა.

-- რაა ეს, ქალო, -- დაეკითხა მწერალი.

-- წიკითხე, შენი ჭირიმე, შენ თვითონ მიხვდები, -- ეშმაკურის ღიმილით მოახსენა პასიკიამ მოსამართლეთ, თითქოს ამ ქაღალდში ყოფილიყოს ქვეყნის ხსნა და დამხობა.

მწერალი ნელ-ნელა თავისთვის კითხულობდა.

-- ერთი ჩვენც გაგვაგონე... --- ვერ მოითმინა ოქროპირმა, რომელიც უკვე ამჩნევდა, რომ მისგან არჩეულმა უღალატა და ახლა ფიქრობდა, თვითონ დაეცვა ობლის უფლებანი.

-- უთხარი, შე საწყალო, წიკითხოს! --- დატუქსა პასიკიამ თა-

ვისი ქმარი, -- ვერ გამოაჩენ შენ სიმართლესწ!

-- წიკითხე, ბატონო, მაგია ჩემი სიმართლის ქალაღი, -- წარ--  
მოთქვა ნიკოიამ, თუმცა კარგად არც კი იცოდა, რა ეწერა შიგ. მაგ-  
რამ ცოლის გამჭრიახობას დაენდო.

მწერალმა დაიწყო.

სია მზითვისა გლების ანდრია ხაჭარაშვილის ასულის ელენესი.

-- ჰო. შენი ჭირიმე, ჰო, -- თითქოს ხარს მიდენისო, აქეზებდა  
ნიკოიი მწერალს.

პირველი. --- ოცდათხუთმეტი მანეთი ვერცხლის ფულათ.

მეორე. -- სპილენძის ჭვავი მთავარი.

მესამე. -- მისივე ტაშტი.

მეოთხე. --- ერთი თითბრის ტაშტი.

მეხუთე. -- ერთი თუნგი სპილენძისა.

კითხულობდა და კითხულობდა მწერალი. კაცს ეგონებოდა, სიის  
გათავებას ვერ მოვესწრებითო. მწერალი განგებ აგრძელებდა.

მეცხრამეტე. -- ორი მუთაქა.

მეოცე. --- სამი ზეწარი.

ოცდამეერთე. -- ექვსი კაბა: ერთი შალის და სხვა ჩითის.

ოცდამეორე. -- ორი იუბკა პირკლისა.

ოცდამესამე. - ოთხი კოფთა.

-- ბარელამ ისიც ჩაგეწერათ, რამდენი სახელო და რამდენი  
გვირისტი ჰქონდა.. უფრო მეტი გამოვიდოდა, -- მწარე დაცინვით  
წარმოთქვა ოლღაიამ. პასიკიას, თუმც ერთი მკვახე პასუხის მიცემმა  
შაქარყინულს ერჩია, ხმა არ ამოულა: მხოლოდ შეცოდებით შე-  
ხედა რძალს, თითქოს ეუბნებოდა: „გასკდი გულზე, ჩემო რძალო,  
ეს საბუთია! ვერსად წაუხვალო".

ოცდამეათე. -- სამი პერანგი.

ოცდამეთერთმეტე. -- სამი მისი ამხანაგი.

ოცდამეთორმეტე. -- ერთი მოსახურავი.

-- იმე! რა დიდი კაცის ცოლი ვყოფილვარ! -- კიდევ ჩაილაპა-  
რაკა ოლღაიამ.

სინამდვილესა ზედა ხელს ვაწერ მე, ელენე ანდრიას ასული, მე-  
ულლე ივანე იობიძისა: და გარდა ამისა, მივიღე წინდები |რვა წყვი-  
ლი, პირსახოცი --- სამი და ქარვა ოცი მარცვალი. ეს მზითევი მი-  
ვიღე მე ელენე ანდრიას ასულმა და მეუღლემ მისმა ივანე იობიძემ.  
უწერილობისა გამო მათისა მაგიერ ხელს ვაწერ ლუკა ვარდანის ძ-  
იობიძე, რომელმან ჩამოვწერე სია ესე.

-- ნამდვილია, მე და ჩემმა ღმერთმა! ქალაღდს რას ეტყვი!.. ----  
დაეთანხმა ესტატე, -- მარა ჩემიც უნდა ჩეითვალოთ.

-- კი, ბატონო, უარს ვერც შენ გეტყვით! --- დაადასტურა იორ--  
დანემ.

ოქროპირესაც არ უთქვამს უარი. კიდევ ბევრი აღმოჩნდა საერ-  
თო საჭიროებისათვის ზოვი ნიკოიას და ზოგი ესტატეს მიერ და-  
ნახარჯი.

გამოარკვიეს აგრეთვე, ვის რა წაელო საერთო მამულიდან.

შეუდგენ გაყოფას.



-- "ჭირნახული" რაც არის ხომ სწორათ უნდა გავყოთ! -- წარ--  
მოთქვა ერთმა.

-- როგორ სწორათ?

-- სამათ!..

-- იმე, ვინ გეიგონა? დავბერდი ვაცი, ასი ოჯახი კი მინახავს.  
რომ იყოფოდა, მაგრამ ჭირნახულს ყოველთვის სულზე ყოფენ, ---  
ბრძანა ექვთიმე ჯანელიძემ.

-- მართალი ბრძანდებით, მართალი! ჩემი ობლისთვის არაა  
ასეთი გაყოფა ხელსაყრელი, მარა სულს რავა წევიწყმედ ორი ჩაფი  
ღვინისათვის... -- დაეთანხმა ოქროპირე.

-- იმე! ორი დღის ბაღანე რომ ყავს ნიკოიას იმისთვის ცალკე  
წილი უნდა წეილოს? -- გაიკვირვა ოლღაიამ, თითქოს არ იცოდა  
სოფლის ჩვეულება.

-- დაგასწრო, ჩემო ოლიკო, -- გაეხუმრა მოხუცი ექვთიმე ჯა-  
ნელიძემ, --- შენც გაგეკეთებია მესამე ბაღანე და გერგებოდა.

ქალებს ვითომ შერცხვათ და თავი ჩაღუნეს... ამაზე ტყუილად  
ალაპარაკდენ, თორემ ყველამ იცოდა, რომ სხვაფრივ გაყოფა შეუძ-  
ლებელი იყო.

იცით,---ბრძნულად შენიშნა მწერალმა, -- რაჭაში კიდევ უფრო  
უცნაური ჩვეულებაა --- ორსული ქალი ორის ნაწილს იღებს...

-- იმე... ახლა ვინ იცის ორსულია თუ არა, იქნებ ტყუილა იქ  
წამოზერილი მუცელი, --- იოხუნჯა სილიბისტრო ჯალაღანიათ.

ყველაფერი თითქოს ესტატესა და ნიკოიას სურვილისამებრ მი-  
დიოდა, მაგრამ, როცა მოინდომეს თავ-თავისი დანახარჯის აღება  
მიწით, ე. ი. მინაიას ხდომილ წილს დაუპირეს ჩამოკლება, ოქრო-  
პირე ისე აყვირდა, ისე აბღავლდა, იმდენჯერ ახსენა გუბერნატორი,  
მომრიგებელ-შუამავალი, ოლქის სასამართლო და თვით ხელმწიფე,  
რომ "კუდი ამოიძუეს" და ოქროპირს დასთანხმდენ.

-- რაო, რას ამბობ?! ღმერთი არ არის, ქრისტიანები არა ხართ,  
ობოლი გინდათ უმიწაწყლოთ დატოვოთ... ციგანია, რომ ფეხზე და-  
სადგომი ადგილი არ ექნეს და ხელის გასათბობი კერია!.. რავა, ხელ-  
მწიფეს მოსახლე ყაძახი არ ჭირდება? თქვენ ნებაზე თუ აცეკვებთ  
ყველას, იმასაც გევიგებ... ყელზე ქვას ჩამოვიკიდებ და ისე მივალ  
ღუბერნატორთან. გინდათ სახლი წეილოთ... დანახარჯში! არ ყო-  
ფა, -- პირუტყვი ეიყვანეთ... სამკაულია, ჭირნახულია -- ყოლიფე-  
რი რავა ვერ ოფვა? ოთხასი მანათი დაგიხარჯავთ... კაი, ბატონო!  
ღმერთი იყო თქვენი მსაჯული, თუ მაგდენიც არ არის! მარა... კაი,  
მაგდენი იყო!.. მესამედს ახდევინებთ, მეტს ხომ არა?!

მსაჯულებს ცოტა შერცხვათ, ცოტა შეეშინდათ...

თავისი წილი ადგილი უკლებლივით მისცეს მინაიას.

მაგიერათ ტრამათ დააფასეს ყველაფერი. მინაიას ადგილის მე-  
სამედის გარდა, ერგო მხოლოდ ისლით დახურული ჩელტის ნალია,  
ერთი თხა და ხუთი ჩაფი ღვინო. ესეც იმიტომ არგეს ბიჭს, რომ ფი-  
ქრობდენ, მინაიე სხვაგან მიდის და ყველაფერს იაფათ დაუთმობს  
ძმებსო. მართლაც ასე მოხდა: თხა ორ მანეთად ესტატემ იყიდა,  
სახლის გადმოტანაზე დასჭირდებოდა ნადისთვის; ღვინო --- მანეთ-

ნახევრად ნიკოიამ დაირჩინა -- ნათლობისათვის ემზადებოდა.

#### IV

დადლილი, დაქანცული დაბრუნდა ოქროპირე სახლში.

-- გადამიყოლა ამ ბიჭისთვის თრევამ, --- გულმოსული ამბობ-  
და იგი. -- ჯერ მწერალმა გამიჭირა საქმე. მივეცი ათი შაური!

-- ცეცხლად შეერგოს! ---- ჩაუმატა მოხუცმა ქალმა, ოქროპირეს ცოლმა ეკამ.

-- მერე მამასახლისი არ იძლეოდა ბეჭედს, ვიდრე იმასაც ორი აბაზი არ "უჯიბე".

მოხუცმა ყალიონი გააწყო, ცეცხლიდან ამოღებული ნაკვერცხა-  
ლი დაადვა და მოწევას აპირებდა, რომ კარებში გამოჩნდა მინაიე.

-- გამარჯობა, ბიძია... მოგცეს? -- საჩქაროდ დაეკითხა ყმა-  
წვილი.

-- კი, რავაც იქნა...

მოხუცმა გააბოლა, ერთი მადიანათ გადააფურთხა, ულვაშებზე  
მუჭი გადისვა და ისევ მინაიას მიუბრუნდა.

-- მიდიხარ... ა?.. მიდიხარ... ეს მაინც მითხარი, სად მიდიხარ?

-- რა ვიცი, ჯამაგირში ჩავდგები...

-- მერე ახლა, სა იშოვი ადგილს? ვისაც ყავდა ბიჭი, იმანაც ქე  
გოუშვა... ზამთარი კარებზეა მომდგარი, ვის რათ უნდიხარ... ხო  
გვიყურებ, ჩვენც ვგდივართ უსაქმოდ და ვხვრინავთ... მერე ფული  
მაინც გქონდეს... შენი რვა აბაზი და ოთხი კაპიკი დამრჩა... რამდენ  
ხანს უნდა გეყოს?..

-- ჯერ ქრისტიანი კაცი არ მომკვდარა ჩვენში შიმშილით და  
რალა ჩემზე დატრიადება "სამარგალიტო" საქმე.

-- გადირია სწორედ ეს ხალხი!.. ეჰ, ძველი დრო იყოს, ძაან კი  
გაგიშობდა ასე უგზო-უკვლოთ ჩვენი ბატონი! ახლა დედის მუცელ-  
ში თავხედები ხართ! .. პერანგის ამარა ქვეყნის შემორებას აპირებთ!..

ერთ ხანს კიდევ ბუზლუნობდა ოქროპირე, უშლიდა ცალმხრი-  
ვით, მაგრამ გადაჭრით კი ვერაფერს ეუბნებოდა, ვინ იცის, იქნება  
ბედს გწიოს და მერე არ ვიქნე დამნაშავეო.

ბოლოს მოხუცი წამოდგა, ჯიბიდან პასპორტი ამოიღო, მინაიი  
წაღმა შემოატრიალა და უთხრა:

-- წაღმა წეიყვანოს ღმერთმა შენი საქმე... თავმდაბლათ იყავი,  
თუ რამე იშოვო, ხელმომჭირნეთ დახარჯე, მოხვალ აქ და დასახლ-  
დები... გამოგადგება... შენ მიწა-წყალს ჩემს სიცოცხლეში ქე შეგი-  
ნახავ, მარა შენც მოხედე... ვინ იცის, მე რა დამემართება... არ და-  
გავიწყდეს თარჯები... მეინახულე და ისე წადი... ეზო და ნალიე  
სიკოიას აბარია... ორი მანეთი უნდა მოგცეს წელიწადში: ახო, სა-  
ხარდნე და ჭალა ესტატეს აქვს -- იმან სამი მანათი უნდა მოგცეს...  
ორივე მოვალეა, რა დროსაც მოსთხოვ, დაგიბრუნებს... მარტო თა-  
ვის ნამუშევარს წეიღებენ.

მინას თუმცა უნდოდა ეთქვა რამე, ხმას ვერ იღებდა... არ იცოდა  
შემთხვევის შესაფერი სიტყვა.

მინა სახლში წავიდა... დერეფანში დახვდა ოქროპირეს ცოლი  
ეკა და თითქმის ტირილით უთხრა.

-- მინაია, შვილო!..

- რა, ბიცოლა?..

-- იქნება სიკოიი შეგხვდეს სადმე, უთხარი, ნუ მომკლავს მის უნახავათ... თუ მოსვლა არ შოუძლია, მოგვწეროს ორი ანბანი, გამაგებინოს, რას შობა - ცივა, წყურია, გაჭირებაშია, თუ დალხინებაში. იქნება რამე ვაწყენიეთ, მარა მშობლები ვართ მაინც... ძის მეტი არც დამტირებელი გვყავს და არც დამლხინებელი... დევიხობებით და სახლს მომვლელი არ უნდა?.. მამამისის კერიას რავა გააცივებს ასე... ხატის მოლოცვა აღარ მოუნდა?..

-- კი, ბიცოლა, კი! თუ სადმე შეგხვდი, ვეტყვი, მარა, სა ვნახავ... ვიცნობ კი? ახლა იგი დავაჟკაცებული იქნება... მეც ძლივს მახსოვს...

-- ეცადე, შვილო, და, თუ არ შემიბრალა ღმერთმა. დიდება მის სახელს!

\* \*

ღამდებოდა, მინაიი სახლში რომ დაბრუნდა. გაყოფის შემდეგ ესტატე და ნიკოიი ერთად იდგენ... დღე-დღე აპირებდა ნიკოიი ნაციდი სახლის მოტანას.

ახლა შესახედავათ ყველა ტკბილად ცხოვრობდა. ზოგჯერ სინანულსაც კი გამოსთქვამდენ გაყოფის გამო.

ყველა მიიწ-მოიწია და მინაიას ადგილი დაუთმეს. ჯერ ცეცხლზე არავინ ითბობდა ხელს: დიდი ცეცხლიც არ ენთო. საკმაოთ გრილდა, კერიასთან უფრო მოხუცებულათაც გრძნობდენ თავს.

-- აბა, მიდიხარ? -- დაეკითხა ოლღაია მაზლს.

-- მივდივარ... --- გამოურკვეველის ღიმილით უპასუხა მინაიამ.

-- როდის, კაცო?

-- ხვალე.

-- ხვალ! -- გაუკვირდა ყველას.

-- წავალ ბარედამ, რაღას დოუცადო? იქნება ჩემი ბედი მიცდის და თუ დროზე არ მივედი, ქე დაკვარგო.

-- ესეც მართალია.

გაჩუმდენ. სათქმელი არაფერი ჰქონდათ.

-- აბა, ქალებო, --- მიუბრუნდა ესტატიე თავის ცოლსა და რძალს, -- ამ კაცს ერთი გზა დაულოცოთ.

ესტატიე მუდამ მზათ იყო ორიოდე ჭიქა "ეხუხა", როგორც სოფლები ამბობდენ, და ასეთი შემთხვევის გაშვება არ უნდოდა.

ქალებსაც ეამათ. ეს შემოდგომა უსიამოთ გაატარეს -- არც ისინი წასულან სადმე "სარჩევში". არც მათ მოუწვევიათ სიმინდის სარჩევათ ნადი. ხან გაყოფაზე ფიქრი და ჯავრი ჰქონდათ, ხან ისე უეცარი უსიამოვნება ერთმანეთში. ამიტომ დაფაცურდენ. დაკლეს, გაპუტეს, შამფურზე წამოაგეს ერთი კაი დედალი და შამფურის სატრიალებლათ პატარა ბავში მიუჩინეს. ღომი პატარა ქვაბში ჩაყარეს, გარეცხეს და ნაჭაზე ჩამოკიდეს... კეცები დააფიცხეს... ერთი მწვანეილის მოსატანათ წავიდა, მეორემ --- ფქვილი გაცრა, მოზილა ცომი და თხელი ჭადები კეცებზე დააცხო: გაშალეს სუფრა... დადგეს ორი-სამი საინი... პასიკიამ დიდი დოქი ღვინო შემოიტანა, ყველი, ტკბილისკვერი, ჯანჯუხი და ბია ოლიკომ მოარბენინა, და

მთელი ოჯახი სუფრას შემოუსხდა.

-- დეილოცე, შე კაცო, ყანყრატო გამიხმა, -- მიმართა ესტატიემ ნიკოიას.

-- დალიე, ვინ გიშლის, --- უპასუხა ნიკოიამ.

-- უფროსი კაცი ხარ, შენი საქმეა, --- გაეხუმრა თავის ქმარს პასიკია. რომელსაც საჭურეზე ცოტა დაელია.

-- ბერი კვიციო, სწორეთ ჩემს სახლიკაცზე ითქმება, - იო-ხუნჯა ნიკოიამ.

-- ჰო, კაი ახლა, დაგვაღევინე ერთი ყლანტი, -- ჩაერია ლაპარაკში მინაია, რომელიც ახლა უფრო თამამად ელაპარაკებოდა თავის უფროს ძმებს.

ავათმყოფები, ახალმოსულნი და მიმავალნი ყოველთვის ჩვეულებრივზე უფრო თამამად გრძნობენ თავს...

ჭიქამ რომ ორჯერ-სამჯერ ჩამოიარა, ყველას ენა აება, ღიღინი დაიწყეს. ღიღინი სიმღერათ გადაიქცა... ერთ ხანს ესტატიე და მინაიი უშლიდნენ ხელს ქალებმა გააჩერეს; ნიკოიამ, ორმა რძალმა და პასიკიას პატარა გოგომ ისე ტკბილად იმღერეს, რომ ყაძახები ალტაცებაში მოვიდნენ... გაჩაღდა სმა...

-- აბა, ძმაო, მინაია, ნახვამდის, -- თავის უნებური ჩაქანებით დაიწყო ესტატიამ, -- ღმერთმა ისეთი კაცი გამოვიყვანოს, რომ შენი გვარი კი არა, მთელი სოფელი შენ შემოგნატროდეს. აქანეი მენახოს შენი "ორატაჟიანი" სახლი... ისეთი ბედოურები, რომ ორი ბიჭი ვერ აჩერებდეს... თუ ბებერი ვიქნე ნამეტანი, ჩემთვისაც გადმოგებედოს. ერთი შენი შვილის ქორწილზე მეცეკვოს და შენ კერიასთან დავ-მთვრალიყო.

-- კაცო, შენ შენ თავს ილოცავ, თუ მინაიას ულოცავ გზას? -- ხითხითით წარმოთქვა ოლლაიამ, რომელსაც ლოყები წამოსწითლებოდა და სიცილათ იყო გადაქცეული.

-- თავსაც ვილოცავ, აბა!.. "ძმა ძმისთვინაო ამ დღისთვინაო".--- სრულიად უაზროთ დაუმატა ესტატიემ.

ქალებს მეტი სმა აღარ სურდათ. ქმრები ძლივს მოაცილეს სუფრას.

მინაიაც გვარიანი შეზარხოშებული იყო. მიწვა და მაშინვე დაეძინა.

ჩააქრეს ლამპა. კერა ნაცარმა დაჰფარა. სუფევდა მყუდროება, სიბნელე და სიგრილე. ზოგჯერ თაროში თავი დაიწყებდა ხრავუნს-იყივლებდა ერთ-ორს მამალი... და ნაცრის ქვეშ, კერიაზე ღვიოდა ნაკვერცხალი.

რიჟრაჟი არ იყო, მინაიას გამოეღვიძა. ჯერ ყველას ეძინა.

-- ავდგები და წავალ, -- გაიფიქრა ბიჭმა.

-- გამომშვიდობება არ უნდა? --- თავის თავსვე ჰკითხა მინაიამ.

-- მივდივარ, მარა სად მივდივარ... ეჰ, სამუშაოს რავა ვერ ვიშოვი... ა, რამდენი წავიდა, ყველამ ქე მეიტანა რაცხა-რაცხა... მე-რაცხას მოვახერხებ... ფეხს დევიკლებ, ტანს დევიკლებ... მჭადს ვჭამ მარტო და ერთი-ორი წლით მერე მოვალ. საეზოვე ქე მაქ... საყანეცაა... ერთ-ორ ქცევა ადგილს ვიყიდი ბატონიდან... სახლს დევიდგამ

და... სხვა თუა, მეც ქე ვიქნები ამ სოფელში... მარა ამ ორ წელიწადს კი უნდა გავიჭივრო და მევითმინო... აქანე ბიჭობას არ კადრულობენ, -- შინაყმა ხომ არა ვარო. --- ე, ვიყო ეს ორი წელიწადი... მერე ხომ ჩემი მქნება და მე ვიქნები ბატონიც და პატრონიც.

ამ ოცნებამ ბიჭი ისე გაიტაცა, რომ წამოდგა ფეხზე, პირს წყაროზე დავიბანო. --- იფიქრა, მძინარენი შეაღვიძა, გამოეთხოვა ძმებს. რძლებს და ძმისწულებს, პატარა ფუთა ხელში აიღო და საჩქაროდ კარში გამოვიდა.

გაიარა სოფელი, გადავიდა ღელეზე გადებულ ხიდს და უკანასკნელად შეხედა მშობელ სოფელს.

ხრიოკი. მოწითალო, თიხანარევი სერები... გვიმრაგაყვითლებული... გადაჭრილი, გადაჩეხილი ბუჩქნარი... ფულურო ჟოლის ხეები... დაჭლექებული, უფოთლომტოებიანი მუხა... ღორი ჩიჩქნის ამ უნაყოფო მიწას... ფერდებჩალეწილ ვირს ყურები მწუხარეთ ჩამოუშვია... გაბურძგვნილი, გამხდარი ძროხა ცდილობს მოიბალახოს... მუწუკებით სავსე მოზუზუნული ბავში, თითქმის ტიტველი, ტირის და ფეხის გულში შენასობ ეკალს ეძებს... მუნიანი ძალი ხარბათ უყურებს ბავშვის კალთაში ჩამალულ მჭადის ნატებს. ფერდობს ზევით ისლით დახურული ქოხი მოჩანს, გადახრილია სიბერისგაგ, უხმოთ იხვეწება, დამასვენეთო; ბურულიდან ამოდის კვამლი ნაზი, თხელი... თითქოს საკმეველია ცაში გაგზავნილი სათხოვრათ: გვშიან და გაგვამღეთო!

## V

"- დედია! დედია! --- ეზოში მოჰკიოდა და მორბოდა ბავში.

სახლიდან გამოვიდა კაბააკეცილი დედაკაცი.

-- უი, შენ კი გაგაცივა! კინალამ გადავირიე! მეგონა, გველი გამოეკიდა ან ხეზე გადმოვარდა-თქვა. რა გაყვირებს, შე გასაგლეჯო? --- კაპასობდა წინათ, მართლაც, შეშინებული დედაკაცი და ახლა ბავშვის დანახვის შემდეგ დაშოშმინებული და გაბრაზებული.

-- რას მერჩი, დედა? ეგერ უცხო კაცია. სამი კაპიკი მომცა მჭადი მომიტანეო, --- ბავშმა ფული გაუწოდა.

-- რას სულელობ, ბიჭო, ვინ კაცია?

-- ეგერ დგას ორლობეში, ღელეს უკან.

-- დაუმახე, აქ მოვიდეს, --- ცოტა ფიქრის შემდეგ უპასუხა ქალმა.

გოგია ისევ გაიქცა. ქალმა კალთა ჩამოუშვა. თავსაფარი გაისწორა. კაბის კალთებზე შერჩენილ მატყლის ქულებს აკრეფა დაუწყო. ბავშმა დაიგვიანა.

ქალი თვითონ წავიდა.

-- არ მოდის, დედა, მეჩქარებაო, --- ჩაუფუჩუნა გოგიამ დედას, რომელსაც წინ შემოხვდა.

-- ბალანამ რაცხა მითხრა, ვერაფერი გამაგებია. რა გნებავთ, ბატონო?

-- მგზავრი გახლავარ, -- მიუგო ყმაწვილმა ბიჭმა, -- მომშივდა

და შევეხვეწე, მჭადი ეყიდა. უკაცრავათ.

-- რისი უკაცრავათ, მოზრძანდით. სხვა თუ არაფერი, ცივ წყალს მაინც მიირთმევ.

-- მეჩქარება, ბატონო, გმადლობთ...

- ერთი წუთით. სადილს კი ვერ გაგიმართავთ.

-- ამას ძალათ თავის დაპატიჟება ჰქვია, --- იოხუნჯა ბიჭმა.

-- შე კაცო, თქვენში არ გამოუვლია მგზავრს? ერთ ჭიქა წყალს და ერთ ცივ მჭადს ვინ დაგამადლის. ჩემი შვილიც იქნება ახლა სადმე დახეტიალობს.

ბოდიშ-ბოდიშით ახალგაზრდა ბიჭი ეზოში ჩავიდა.

დედაკაცმა მინაიი სახლში შეიყვანა, მჭადი და ყველი მიართვა, თაროდან პატარა დოქი ჩამოიღო და ბოდიშით უთხრა: "

-- საშინაო ღვინოა, თუ იკადრებ...

- გმადლობ, ბატონო, გმადლობ, ყველაფერი ბლომათ გახლავთ! -- და სიამოვნებით დალია წყალნარევი მაჭარი...

როცა საუზმე გაათავა, მინას უნდოდა დარბაისლობა გამოეჩინა და ჰკითხა დედაკაცს:

-- ეს რა სოფელია?

-- ეწერს ვეტყვით, ბატონო!

ქალი გაჩუმდა, ეტყობოდა მუსაიფს არ იყო შეჩვეული.

-- კაცები არ არიან სახლში? --- ისევ იკითხა მინაიამ, როგორც სტუმარს შეფერის, რომ რაიმე ეთქვა.

-- ჩემი კაცი, ბატონო, ტყეში გეახლა შეშის მოსატანათ... ახლოსაა, თუ გნებავთ, დოუძახებ...

-- არა, ბატონო... ისე ვიკითხე...

-- ... ჩემი შვილი კი, ბატონო, აგერ ერთი თვეა წევოდა, გვითხრა, დადიანის ტყეს სჭრიან და იქნება ორიოდე გროში ვიშოვო...

-- დადიანის ტყეს სჭრიან? -- დაეკითხა მინაიი.

-- დიახ, ბატონო, დიდი ხალხი ასევეია თურმე... ინჯილრები არიანო... დიდი ამბავიაო...

-- სადაა ნეტავი ეს დადიანის ტყე?..

-- ნამდვილი რა მოგახსენო, მარა ცხენისწყლის პირათ რომაა ქევიცი... აქვთ, ზევით...

-- ცხენისწყალი სითაა...

-- ე, ხომ უყურებ ორი სერი ერთმანეთს რომ უახლოვდება, იქინე ჩეიარ შუაში... --- დედაკაცი წამოდგა, ადგა მინაიეც; დედაკაცი ხელით აჩვენებდა... -- მერე მარცხნივ გაყვები შარაგზას და მიგიყვანს პირდაპირ ფონზე.

-- გმადლობთ! -- გულის სიღრმიდან აღმოხდა მინაიას. -- იქ უნდა იქნეს ჩემი ბედი, გაიფიქრა ბიჭმა და წასვლა დააპირა.

-- რათ მკითხავდი, ბატონო, ამ გზას?

-- სამუშაოს ვემებ და იქნება მეც იქინე ვიშოვო რამე.

- უი, უი, რამდენი კაცი მიდის ახლა...

-- რა ვქნათ?.. ძან ძნელი შეიქნა ცხოვრება...

-- ასე მოგახსენათ ჩემმა ბიჭმაც, როცა მიდიოდა: წავალ, იქნება ორი გროში ვიშოვო ერთი ქცევა ადგილის საყიდელიო.

-- ასეა, ბატონო, ასე! -- ამოიხვნეშა მინაიამ, გაბედა მზეს. რო-  
მელიც დასავლეთისკენ გადახრილიყო, მოუბრუნდა დიასახლისს და  
უთხრა:

-- ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო. გმადლობთ! თუ ჩემ სო-  
ფელში მობრძანდეთ, მეც მომიკითხეთ.

-- რათ იკადრებთ, რათ იკადრებთ, ბატონო... ნუ მიწყენ, რომ  
ასე პატარაზე გადაგარებიეთ...

მინაიი წავიდა. გზაზე ფიქრობდა:

ააშენა ღმერთმა, კაი დედაკაცი ყოფილაო.

დედაკაცი შუა გზამდი გაყვა სტუმარს. მერე შეჩერდა. ხელები  
გულზე დაიკრიფა; პატარა გოგია კალთაზე ეპოტინებოდა და ჰკი-  
თხავდა:

-- ვინ იყო, დედა?

-- არ ვიცი, ბიჭო, არ ვიცი! რა ამეილე ტვინი?!

გულში კი ფიქრობდა:

-- ყაძახის შვილია, მარა გაზრდილი ბიჭია, ვილაცაა. ღმერთმა  
ბელი მოუმართოს!..

მინაიამ ბევრი იარა. გავიდა და გამოვიდა ცხენისწყლის ფონზე.  
ერთის მაგიერ ათი ტევრიც კი შეხვდა, ასწლოვანი ხეებით დაფარუ-  
ლი და გველაშაპივით მიძინებული, ახლა ფოთლებდაცვივნილი და  
უფერული: უფრო ხშირათ, ტყის ახლოს ადამიანია ხმაც არ ისმოდა;  
ვინც კი შეხვდა და ჰკითხა, უპასუხეს: ეს დადიანის ტყე არ არისო.

შაბათი იყო. სრულიად მოულოდნელად წყლის პირათ, ტყიან  
მთის ძირში, რამდენიმე სადგომს წააწყდა.

გაუხარდა.

მიუახლოვდა.

მჭიდროთ შეკრული შტოებით დახურული ფაცხები ტალახით  
იყო „შეთითხნილი“ და თუმცა, ეტყობოდა, ადამიანები იდგენ, ნა-  
სუქ ღორსაც არ დააყენებდა შიგ კაცი.

სხვა ფაცხების მსგავსი ერთი პატარა დუქანიც იდგა.

აქ მოეყარათ თავი მუშებს და უღიმღამოთ შორიშორს წამოის-  
როდენ სიტყვას.

-- გამარჯობა თქვენი! -- რაღაც უხერხულათ მიესალმა მინაია  
მუშებს.

-- გაგიმარჯოს! --- უპასუხა ერთმა-ორმა.

სხვები კი ისე, ზანტათ, შეაცქერდენ პატარა ბიჭს, თითქო ჰკი-  
თხავდენ: "რამ მოგიყვანა, რა მოხელე ხარო?"

მინაიი დუქნის დერეფანში ერთხანს იდგა. ჩუმ-ჩუმათ უკვირდე-  
ბოდა ხის კუნძებზე, ქვებზე ჩამომსხდარ ხალხს... ნაცნობი არავინ  
იყო... ლაპარაკიც რაღაც მოსაწყენი ესმოდა.

მინაიი შევიდა დუქანში.

პატარა მოკლე თაროზე კოლოფებში ეწყო ფოლაქები, შაქარი,  
ნემსი და ძაფი: კარებზე ეკიდა საქალამნე ტყავები... იქვე ქანაობდა  
ფარგა და ტარანი... კუთხეში სუფთად დაგვილსა და ჭილოფით და-  
ფარულ მიწის იატაკზე ეყარა ორიოდ ბათმანი მარილი და ლობიო.

დიდი კოდი, რომელიც მეორე კუთხეში იდგა, სავსე იყო სიმინდის ფქვილით. უკანა კედელთან ჩელტის კარის ძირში იდგა მოზრდილი ზანდუკი. ზანდუკის სახურავზე ეწყო სულგუნები და სრულიად დაფარული იყო ფიჩხებით. შუაში ენთო ცეცხლი.

"იმ ზანდუკში ნამდვილ თუთუნი და არაყი აქ შენახული მედუქნეს, --- გაიფიქრა მინაიამ და ოდნავ გაიღიმა. -- რა ჭკუის კოლოფი ყოფილა... თუ "აკციზი" მევიდა, ბრმაა რომ ვერ დეინახოს?" --- დაათავა თავისი აზრი მინაიამ.

წინა კარებთან პატარა ათი-თორმეტი წლის გოგო გობზე ცრიდა ფქვილს.

თვითონ მედუქნე სამფეხა სკამზე იჯდა და ვეებერთელა ნაჯახის ტარს სთლიდა.

-- რა გინდა, ძმობილო? --- შესვლისთანავე დაეკითხა მინაიას მედუქნე.

მინაია დაიბნა.

-- არაფერი, ისე შემოვედი...

მედუქნე თავის საქმეს შეუდგა.

მინაიამ დაათვალიერა დუქანი, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი ნახა და კარში გამოვიდა.

ერთი მუშა გულწრფელად ამტკიცებდა, რომ ერთ ქცევა ვენახში ორმოცი საპალნე ღვინო მომიდისო.

მეორეს ეს ამბავი სასაცილოდ არ ყოფნიდა და დედაკაცურის სიკაპასით ეუბნებოდა:

-- რას ცრუობ, ყაძახო, ორმოცი საპალნე ღვინო მთელ თქვენს სოფელში არ მოდის და შენ რაღა რაჭის ერისთავი გამომიჩნდიო..-

ლაზღანდარობაც მოსწყინდათ. მუშებმა ნელ-ნელა მიატოვეს დუქნის დერეფანი... და სადგომებისკენ წავიდნენ.

მინაიაც წამოდგა, ვითომ წასასვლელათ, მაგრამ ისევ დაჯდა, რადგან სად წასულიყო, არ იცოდა.

მედუქნეს უკვე გაეთავებია ნაჯახზე ტარის დაგება, გამოვიდა კარში, მიიხედ-მოიხედა და როცა პატარა ბიჭი დაინახა და გვერდში პატარა ფუთა შენიშნა, ჰკითხა:

-- ვინ ხარ, ძმაო, შენ?

-- წყაროსელი ვარ, ხაჭარაშვილი, -- მიუგო ბიჭმა.

-- მერე აქ ვის უცდი? "

-- სამუშაო მინდა ვიშოვო...

-- რა სამუშაოს ეძებ?

-- სულ ერთია, რაც იქნება...

- არ ვიცი, ძმაო, ხელზე მოსამსახურე ამ ტყეში ვის მოუნდება და ტყის მუშათ შენ ვინ აგიყვანს?

-- რატომ? ხის მოჭრა რა დიდი ბედენაა?..

-- იარაღი მაინც თუ გაქ?..

-- ნაჯახი?

-- ჰო! ნაჯახი, ბაწარი, ქლიბი, ბირდაბირი. .



-- ვიყიდი! -- წამოცდა მინაიას და შეჩერდა, გაახსენდა, რომ ჯიბეში ოთხი აბაზის მეტი აღარ ჰქონდა.

-- შენი საქმეა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს... ხვალ კვირეა, მიიკითხ-მეიკითხე, იქნება რამე ქე გამოდნეს... ბედია ყველაფერი...- მედუქნემ მიატოვა მინაიე, მხოლოდ შორიდან ადევნებდა თვალ-ყურს, უკვირდებოდა საყიდ გოჭსავით.

როცა ჩამოლამდა და სიცივემ იმატა, მედუქნეს უნდოდა დუქნის კარები მიეკეტა ურდულით, მაგრამ შეხედა მინაიას, რომელიც ქვაზე იჯდა და უთხრა:

-- შვილო, მანდ ხომ არ აპირებ ღამის გათევას. შემოდი, აქ დეიძინე.

მინაიე შევიდა.

-- ადგილი რომ ცოტაა?..

-- არაფერია, დავეტევით.

მინაიას გვარიანადაც შიოდა. თან იფიქრა, რადგან მედუქნე ბინას მაძლევს, რამეს გაუსაღებო:

-- ერთი შაურის ყველი მომიჭერი და ერთი მჭადი მომეცი!.. --- მუშტრის კილოთი მიმართა მედუქნეს მინამ.

-- აბა, მოართვი! --- დაუძახა მედუქნემ პატარა გოგოს, რომელიც წინათ ცომს ზელდა.

გოგომ მარდათ გასჭრა ნახევარი სულგუნი, კეციდან ცხელი მჭადი აიღო, მინასკენ პატარა სკამი გასწია და სანოვაგე ზედ დააწყო...

მინამ ხარბათ დაიწყო ვახშმობა.

მოხუცი მედუქნე და მისი პატარა გოგონაც ცეცხლის პირზე დაჯდენ და ვახშმობა დაიწყეს...

-- ეჰ, დაწყევლილია, --- დაიწყო მოხუცმა ბუზლუნი, -- ალოღიალებულ კაცის ცხოვრება. გემოზე ვერც ვჭამ, ვერც ვსვამ... საწოლი არ გვაქ ქრისტიანული და მოსასვენებელი.

- ასეა ყველა! -- დააშოშმინა მინაიამ.

-- ასეა ყველა! -- კიდევ უფრო აღელდა მოხუცი, -- თქვენ ერთი წლითა ხართ, ორით. თუ გინდა, ათი წლით ჩემს მდგომარეობაში... მე კი სამარეში ფეხი მიდგია და ერთი ვერ მევიკიდე ფეხი.

- რატომ, ბიძია? --- უფრო ტკბილათ დაიწყო მუსაიფი მინამ. --- რავაც გეტყობა, ცოტა ფული ქე გექნება და ერთი ქოხი იყიდე...

- სად დავდგა მერე?

-- ბიჭო! თქვენ სოფელში...

-- სოფელი ქე მაქ, მარა სოფელში ჩემი არაფერია... -- მწარე ღიმილით ახსნა მედუქნემ თავის სიტყვები...

მინაიას ვერ გაეგო მედუქნის სიტყვები და ხელმეორეთ ჰკითხა:

- რავა, საეზოვე ადგილი მაინც არ გაქ?

-- ჰო, არ მაქ!.. რა გიკვირს?..

-- ამდენ ხანს ვერ იყიდე?

-- როცა საკმაოთ მქონდა, მაშინ ვერ ვიყიდე და როცა არ მქონდა, უფულოთ ვინ მომყიდიდა... ეჰ, ერთი კვალი მიწა რომ მქონოდა, ქოხის დადგმასაც მოვახერხებდი და დედაკაცის მოყვანასაც; ახლა

ქე ვიქნებოდი სადმე "ჩემ შინ" ... ისე ჯყველაფერი ერთად ვერ გავბედე... ახლა დავტოტყიალობთ მე და ეს ჩემი დის ბაღანეი... ობოლია საწყალი, ვის უნდა მივუგდო, თვარა ჩემი თავის არა მენაღვლება...

მოხუცის უეცრათ გამოთქმულს სულისკვეთებას მინაიი ძლიერ დაკვირვებით ისმენდა და გულში უნებლიეთ ფიქრობდა:

- ვაითუ მეც ასე დამემართოს! არა! რატომ დამემართება, მიწა ქე მაქ და რავაც ორ კაპიკს ვიშოვი...

პატარა გოგოც "თვალდაპრაწული" შესცქეროდა ბიძიას და დიდათ სწყინდა. რო მისი შველა არაფერში შეეძლო და როგორც კი შეამჩნია, რომ ბიძიას მეტი სათქმელი არაფერი ჰქონდა, გააგო ჭილოფი, თითქოს ეუბნებოდა:

-- აქაც ტკბილათ შეიძლება დაძინებაო.

-- ბოშო, ერთი ტომარი მიეცი იმ კაცს, დეიგოს...

მედუქნემ ხურჯინი მრგვალათ შეახვია, სასთუმლად დაიდვა და დაწვა.

მის ფეხებთან გოგო მიგორდა.

დახეული ნაბდის ერთი ყური მედუქნემ გადაიფარა ტანზე და მეორე ნახევარში გოგო გამოეხვია.

მინა გაგებულ ტომარაზე მიწვა.

დადლილ გოგონას მალე დაეძინა.

მედუქნემ ერთი კი თქვა: „მომხედე, ღმერთოო" და, რადგან მეტი სალოცავი სიტყვა არ იცოდა. გულით მიენდო ღვთის განგებას.

ერთადერთი მინა ფიქრობდა ეზოზე, ნალიაზე, ძმების არეულ ოჯახზე, მომავალზე... და ყოველი საგანი ერთსა და იმავე სურვილს აღუძრავდა:

-- ღმერთო, ერთი კაი ადგილზე დამაყენე!

მეორე დღეს კვირა იყო. რადგან არათუ ეკლესია, სახატეც კი ახლოს არ მოიძებნებოდა, მუშები არ შორდებოდენ დუქნის დერეფანს.

მინაიამ ხან ერთ ჯგუფს მიჰხედა, ხან მეორეს, მაგრამ სანუგემო ვერაფერი გაიგონა.

მედუქნეც დაეხმარა, ჰკითხა ორ-სამს, თუ აიყვანდენ ამხანაგად ახალგაზრდა ბიჭს, მაგრამ ყველამ უარი უთხრა.

-- მოიჯარადრე გაგვირიგდა, ასი ხე უნდა დავუმზადოთ... სამი კაცი ვართ და ერთ კვირეში გავათავებთ, თუ ფული მივიღეთ დროზე. თუ კიდო მოგვცა მოიჯარადრემ სამუშაო, რატომაც არ ევიყვანთო.

ასეთს პასუხს იძლეოდა ყოველი ჯგუფი...

სასოწარკვეთილებას მიეცა მინა, შინ დაბრუნების რცხვენოდა, შორი გზისთვის კი სახარჯო აღარ ჰქონდა.

შორეულ სოფლიდან მოისმა შუაწირვის ზარის რეკვა. მუშები წამოდგენ და პირჯვარი გადაიწერეს. სწორეთ ამ დროს გამოჩნდა ვიღაც ცხენოსანი.

ყაბალახში შეფუთვნილი, ქოლგით ხელში. პირველათ ვერც კი იცნეს.

როცა შეხედეს, რომ მოიჯარადრე იყო. შემოეხვივნენ...

-- გიცდით. ბატონო, გიცდით! ცოლ-შვილი შიმშილით გვიკვდება და სად ბრძანდებით? -- უსაყვედურეს მუშებმა.

-- კაი! კაი! მომიცდიდიო, აბა სად წახვიდოდით! -- დაცინვით შესწყვიტა ლაპარაკი მოსულმა და მედუქნეს მიუბრუნდა:

-- ერთი საჭმელი უნდა მიშოვო -- ამ გზამ მუცელი გამომიხმო. საზარი და გულსაკლავი ამბავი გაიგეს მოიჯარადრისაგან მუშებმა:

-- აწი ხის მოჭრა არ არის საჭირო, რადგან კამპანიამ უარი თქვა ხის ყიდვაზეო.

-- რაც გვიმუშავნია, იმისას ვინ მოგვცემს?

-- ეშმაკმა იცის, ვინ მოგვემთ... -- გაიკვირვა მოიჯარადრემ. ვითომც ის არაფერ შუაში ყოფილიყოს.

-- ტყე ხომ აქ დარჩება? -- იკითხა მუშათაგანმა.

-- ჰო, აქ, -- უპასუხა მოიჯარადრემ.

-- აბა, დადიანმა უნდა მოგვცეს.

-- ძან კი უნდა დადიანს ტყე? რავა, ცოტა აქვს მას თუ?

-- ხომ მას რჩება?

-- და განა მან მოგაჭრევიათ? მან გთხოვათ, დაგიბევათ, მოჭერიო?

-- გაჩუმდი, პეტრე, შე კაცო, დადიანი რათ მოგვცემს რამეს... "კუპანიაა" თუ რაცხა უბედურობაა, იმან უნდა მოგვცეს.

-- სადაა მერე ის "კუპანია"? --- იკითხა ერთმა გლეხმა.

-- სად? -- გაიცინა მოიჯარადრემ, -- თუ მომინახავ, ერთ თუმანს მეც გაჩუქებ... რამდენი ვიწანწალე, რამდენი დავხარჯე, ყველაფერი დემეკარგა...

-- რა "კუპანია", რა დადიანია? -- შეუტია ერთმა მოიჯარადრეს, -- შენ გაგვირიგდი და შენ უნდა მოგვცე... გვასულელებ თუ? ამ სიტყვებზე, ცოტა არ იყოს, შეკრთა მოიჯარადრე, მაგრამ არ შეიმჩნია და თითქოს უდარდელათ მიუგო:

-- მიჩვილეთ, ძმაო! რა ზაკონის კანონი იქნება, რომ მე გადამახდევიოს თქვენი ზარალი?.. მეც არ მიმიღია ფული და, აბა, თქვენ მომეცით ჩემი ნაშრომი და ნასარჯი...

-- ხალხო, რას ღრიალებთ უთავბოლოთ!.. ეს ტყე ხომ ჩვენ მოვჭერთ? ხომ...

-- კი! -- უპასუხეს აქიდან და იქიდან იმ იმედით, რომ იქნებ ამან გამოიგონოს რაიმე ხსნაო.

-- თუ ნამუშევარი არ მოგვცეს, ხომ ვერ წაგვართმევენ?

-- ვერა.

-- აბა, ვუყუროთ, ხომ უნდა წეილოს ვინმემ... ვინც წეილებს, იმას გადავახდევიებთ... ჩვენთვის სულ ერთი:..

-- ჰოდა, ამ ოც ნამორს თუ მუუჯექი მთელი წელიწადი, აშენდება ჩემი ოჯახი. იქნება არც არავინ ქე მევიდეს წასალებათ. ათასი წელიწადია ე ტყე აქანეა, მარა არავის წოულია!..

-- აბა შენ თქვი, რავაც ჯობია!..

-- ისევე ამ ღვთისნიერ კაცს შევეხვეწოთ, იქნება რამე გამო-

გვიწყოს.

-- მე რა უნდა ვქნა, ძმაო, მე თვითონ დიდი საჩივარი მაქ კუმპანიასთან...

-- კიდო უკეთესი... ჩვენ საქმეზედაც უჩივლე.

-- რა "ადვუკატი" მე მნახეთ?..

-- კაცო, ახლა შენი საქმისთვის რაზე იხლაფორთებს ე კაცი, --- შენიშნა ვილამაც.

-- აბა, ბატონო, თუ იმ კაცთან, კუმპანიასთან საჩივარი მაინც ქე მაქ. მოგვეცი ჩვენ ცოტა რამე, გაგვიშვი შინ, და შენ რასაც ამეილებ, ღმერთმა მოგახმაროს.

-- რას აფასებთ ახლა თქვენ საქმეს, ვინ იცის. იქნებ ვერც ქე მოვიგდო ხელში კუმპანია და მაშინ ხომ თლად დევილუპე კაკალი კაცი.

-- შენ რავა დეგემალეზა?! შენ ქე მონახავ, ჩვენ ვიკითხოთ თვარა! -- აქეზებდენ მუშები მოიჯარადრეს.

ბეჯითად არ იცოდენ, თორემ ის მუშები გრძნობდენ, რომ რაღაც მოხერხება იყო, მაგრამ ასეთს საქმეში გაუჩვეველნი ცდილობდენ ერთი-ორი გროში მაინც აელოთ და მიეტოვებიათ ეს ციებ-ცხელების ადგილი.

მუშებმა ნახევარ ფასად დაუთმეს ნამუშევარი, მისცეს ხელწერილი და უმრავლესობა იმავ დღეს წავიდ-წამოვიდა.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა მედუქნე. ჯერ აქ, ამ კრიოხში ამოტანა ათასგვარი საწვრილმანოსი "მამასისხლათ" დაუჯდა, ახლა რაღა წაალებინებდა უკან, და რომც წაელო, სად გაასალებდა. ვინ გაუსალებდა ბარში მის დანოტივებულ ფქვილსა და ქინაქინას?!

როცა ბინდისას მთიდან ჩამოვიდა მეგრელი მწყემსი და ნამალევათ ჩაბალახიდან ამოღებული სულუგუნები მიაწოდა, გააფთრებულმა მედუქნემ მიაყვირა:

-- გადი, მომშორდი აქიდან!

გაკვირვებულ მწყემსს უნდოდა იაფათ მიეყიდა და უთხრა:

-- სუმი ართი შაური!

-- წადი შენ და შენი სულუგუნი! ქრისტიანული მაინც დეგესწავლა, -- და შებრუნდა დუქანში.

იქ ჩაფიქრებული იდგა მინაიე და მოიჯარადრეს ემუსაიფობდა:

-- მერე შენისთანა პატარა ბიჭი რომ ტყის მუშათ არ ვარგა, განა არ იცი?

-- რა მიჭირს?

-- რა გიჭირს და ნაჯახით მუშაობას დიდი ღონე უნდა, გამტანლობა...

მინაიამ ვერაფერი უპასუხა.

-- ერთი მითხარი, მჭადის გამოცხოზა იცი?

- კი...

-- ქათამს ვერ შეწვავ?

-- დიაღაც.

-- ხელზე სამსახური არ გეცოდინება, არა, გასწავლიან, არა-ფერია... აი. რა გითხრა, შვილო, ერთი კაი ოჯახში მთხოვეს, ბიჭი გვიმოვეო. ქალაქში... თუ გინდა, იქინე წაგიყვან და ის უფრო კაი იქნება შენთვის, ვინემ აქ ტყეში ნაჯახის "ბაკუნნი"... გინდა?

- კი, მარა...

-- ჰო!.. ჯამაგირს თუ კითხულობ, სამ მანეთს მოგცემენ თვე-ში, ორ წყვილ წულას და ტანსაცმელს... რომ გამეიცდები, მოგიმა--ტებენ... გინდა?..

-- კაი, ბატონო, მეტი ქე ვღირვარ, ღვთის წინაშე...

-- არა, ამ პირველათ ასე იყოს და მერე ვნახოთ... პატიოსანი კაცია, ვისთანაც შენ წაგიყვან და თუ ასიამოვნებ, მოგიმატებენ...

ეს მუსაიფი ტყვიად მოხვდა გულში მედუქნეს. სწორეთ მასაც ჰქონდა აზრათ მინაიე აყევანა და მასთან ერთად მუშებისათვის ემ-ზადებია სადილ-ვახშამი.

-- ახლა კი?

-- ფუ!..

როცა მინასთან ლაპარაკი გაათავა, მოიჯარადრე მიუბრუნდა იქ-ვე მდგომ მედუქნეს:

-- რა მოგიწყენია, არსენ?

-- რავა რა მომიწყენია, ყელი გამომჭერი და ის არი!..

-- რავა, შე კაცო?..

-- რა ვქნა ახლა, საით წვევიდე?

-- ნუ გეშინია... ყველაფერი კარგად მოეწყობა, მეიცა ერთ-ცახა-

-- უი, შე დალოცვილო, სულ "მეიცა", „მეიცა" რავა იქნება..-მე თუ სული ამომძვრება. მერე ქვა ქვას დადუღებია.

- გიშოვი სამუშაოს. ნუ წუხარ...

-- რა სამუაო უნდა მიშოვო? ვინც მუშა გყავდა, ისიც ქე გო-უშვი!..

-- ამდენ ხეს მომვლელი არ უნდა?

მედუქნეს რალაც იმედი მიეცა და, რომ სრულიად გაერკვია სა-განი, ჰკითხა:

-- მერე მე რა?

- რა და, შენ დაგაყენებ დარაჯათ, ოღონდ უნდა შემომფიცო. რომ ერთი ხეც არ დეიკარგება...

-- კი მარა, აქანა ბაღანეი გადამერევა...

-- მაგასაც ეშველება. მე წვევიყვან... საკუთარ შვილივით მოუვ-ლი. ჩავაცმევ და დავახურავ... წამეიზრდება და გავათხოვებ... შესაფერ ქმარს ვუშოვი და საკადრის მზითევს მივცემ...

-- აგაშენა ღმერთმა...

-- არ გაგრჯი-თქვა, რომ გითხრა ტყუილია... .

-- რატომ იკადრებ.

-- აბა, ხომ უყურებ, რომ საქმე გამოკეთდება თურმე...

ასე ტკბილად ლაპარაკობდენ მედუქნე და მოიჯარადრე, მაგ-რამ მორიგებით ისე ჩქარა ვერ მორიგდენ, რთგორც მინაიი და მოი-ჯარადრე. გამოცდილი მედუქნე და გაიძვერა მოიჯარადრე ვაჭ-

რობდენ, სანამ ძილის დრომ არ მოაწია.

მინა უკმაყოფილო იყო მცირე ჯამაგირით, მაგრამ მაინც დამ-  
შვიდებულს დაეძინა... მან იშოვა ადგილი...

დაეწყო გზა სასურველი...

ეს პირველი ნაბიჯი იყო...

ყმაწვილური ძალა და გამოცდილება კი მომავალს უფრო ფერა-  
დათ უჩვენებდა.

## ნაწილი მეორე

მინაიი წინათაც ყოფილა ქალაქში ქლიავის, კვერცხის, ქათმის  
და ზოგჯერ შემის გასაყიდათ. დარჩენილა დილიდან შუადღემდის  
და მერე საჩქაროთ დაბრუნებულა უკან. ასეთს შემთხვევაში დრო  
არ ჰქონებია ჩაფიქრებოდა ქალაქის ავ-კარგს; მხოლოდ თვალებ-  
დაქაჩული მიაცქერდებოდა დუქნებს, გამვლელ-გამომვლელს, მაგ-  
რამ აქედან მეეტლე მიაყვირებდა "ხაზარდაო" და ერთ-ორს შეუ-  
კურთხებდა მადიანათ, ან ვინმე დაუძახებდა: "ბიჭო, მა ქათამი რა  
ღირსო" და გამოიყვანდა ფიქრთა ბურუსიდან.

ახლა კი ჩაუფიქრდა ნელა, ბეჯითად. მაგრამ ბევრი მაინც ვერა  
გაიგო რა.

კარგი, --- დაიწყებდა მინაიი გულში სჯა-ბაასს, - სალსა ჩემსა-  
ვით სოფლებიდან მოდის, სახლები თუ გინდა ააშენეს, სწავლული  
კაცებიც რუსის ხელმწიფემ გამოგზავნა, მარა ე ქუჩები რომ ყვე-  
ლა დახვეტილსა ჰგავს, ვინ ხვეტს ან რატომ ხვეტს? ჩვენში სანამ  
არ დაღპება, ისე აგდია გზაზე ხან ძალღი და ხან ქათამი... ყველას  
ეზარება ხელი მოჰკიდოს... აქანე საღამოს რომ ნაგავიო სავსეა ქუ-  
ჩა, მეორე დღეს სასტუმრო ოთახივით გააკანკალებენ... ესეც კაი...  
ი რაცხა რომაა, ქმინავს და იორთქლება, პარავოზიო თუ რაცხა,  
რო გარბის, ცხენი არ უბია და ხარი, რანეირად მირბის?..

დიდხანს, დიდხანს ვერ გაიგო ქალაქის საკვირველებანი, მაგ-  
რამ შეეჩვია კი ყველაფერს.

ქუჩაზე აღარ უჯავრდებოდენ, რადგან თვითონ მარდათ გაეც-  
ლებოდა, სადაც საჭირო იყო... იცოდა, რომელ დუქანში რა იყიდე-  
ბოდა... იცოდა, რომ ყველა ამპარტავნად მიმავალი დიდი კაცი არ  
ოყო და მისი არც გალახვა შეეძლო და არც "ნაობახტში" ჩაჯდენა...

მიდიოდა თვეები... წლებიც. მრავალი მეგობარი და ნაცნობი გა-  
უჩნდა.

ბატონებიც არ გამოადგენ ცუდი. მართალია, ციბრუტივით ტრი-  
ალი უხდებოდა, მაგრამ ჯამაგირს უმატებდნენ ნელ-ნელა, საჭმელი  
კარგი ჰქონდა და თითო-ოროლა გროშსაც ინახავდა.

სამი წელიწადი არ იყო ჯერ კიდევ გასული, რომ ოქროპირეს  
დახმარებით და ჯამაგირიდან ჩამონარჩენი ფულით ერთი ქცევა  
ისეთი ადგილი იყიდა, რომ სოფელში იმაზე უკეთესი საყანე არ იყო.  
"ნამდვილი ხვილიფიაო" იჩემებდა ოქროპირე.

მაგრამ ყველაზე უფრო კარგი დრო დაუდგა მინაიას, როცა ად-  
გილი გამოიცვალა. სადაც მოიჯარადრემ დააყენა, ის მიატოვა და

თვითონ მოიჯარადრესთან დადგა.

იქ იყო მოსამსახურეთ ნინოი; იქ იყო არსენა მედუქნე, მოიჯარადრის მიერ ტყის საწყობის მწყემსათ ქალაქში გადმოყვანილი.

დიდი ოჯახი ჰქონდა მოიჯარადრეს. ზოგი სასწავლებელში იყო, ზოგი სამსახურში.

ყველა კარგად ეპყრობოდა მოსამსახურეებს.

ერთმა მოწაფე ქალმა სოფელ გოგო-ბიჭს ქართული წერა-კითხვაც კი დაასწავლა.

ასე მიდიოდა დღე შეუმჩნევლად.

თუ ოდესმე გაახსენდებოდა მინაიას თავისი სოფელი, უკვე დაბეჯითებული იმედიც გაურბენდა გულში: რომ, ერთხელაც არის, ისევ იქ მივა, თავის ეკლესიაზე ილოცავს, თავისი ხარები ეყოლება, თავისი კერა ექნება.

ერთს კი სწუხდა -- ძლიერ გრძელდებოდა ეს თმენა, სხვის კარზე ყოფნა, საკმაო გრომების შეკრება.

## II

ნინოი ავად იყო.

წამალს თვით ქალბატონი ასმევდა. მოვლით მინაიი უვლიდა. არსენას მეტი არაფერი დარჩენოდა, გაერთო ნინოი, რომელიც თუმცა ქალობას სჩემობდა, მაგრამ ნამდვილი ბავში იყო.

ავათმყოფობით სარგებლობდა ნინოი... მინაიას არბენინებდა საკუთარ მოსამსახურესავით; ქალბატონსაც კი შეუბრუნებდა სიტყვას, არსენას კი ყოველდღე ახალ-ახალ ზღაპრებს ათქმევინებდა.

ერთხელ ნინოიას დიდი სიცხე მისცა.

მთელი ღამე შფოთავდა.

დილითაც კი არ დასძინებია.

-- ბიძია! - დაუძახა ნინოიამ არსენას, რომელიც მინაიასთან ერთად სამზარეულო ოთახის მეორე კუთხეში იწვა.

-- რა გინდა. გოგო?..

-- ერთი ზღაპარი მითხარი.

-- რა დროს ზღაპარია, თენდება.

-- გათენდეს, მერე შენ რა გენაღვლება?

ამ ლაპარაკმა მინაიეც გამოაღვიძა.

-- რაიო? რას გეხვეწება?..

-- ზღაპარი მითხარო, აბა რა დროს ზღაპარია?..

-- უთხარი, შე კაცო!.. სულ ერთი არ არი, დღე იტყვი თუ ღამე?..

-- იყო და არა იყო რა, -- დაიწყო არსენამ, -- ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი გლეხკაცი. ორი ვაჟი ჰყავდა და ერთი ქალიშვილი, ერთიმეორეზე უმცროსი. ხნავდა, სთესავდა, ოფლში იწურებოდა, დღე და ღამე ერთი ჰქონდა საწყალ გლეხს, მაგრამ მაინც უჭირდა წვრილი ცოლ-შვილის რჩენა. დედაკაციც ძაან მომჭირნე ჰყავდა. ერთი და ორი თვე მარტო ჯიჯლაყათი და მოლოქათი გა-

მოკვებავდა ქმარ-შვილს... მარა ერთხელ დედაკაცს ჯანი გამოელია, მუხლებმა უსუსტა და ფხალის მოსაკრეფად შორს ვერ წავიდა. დაჯდა ჭიშკარზე და მწარეთ ქვითინი დაიწყო.

იმ დროს ვაჭარმა ჩამოიარა. დიდი ხორაგი ჰქონდა და თვითონაც ქე ყიდულობდა რაცხა-რაცხას.

-- რას ტირი, ქალბატონო? -- შეპარვით დაეკითხა ვაჭარი.

-- რავა რას ვტირი, ქმარი სამუშაოდან მოვა, შინ უჭმელ-უს-მელი ბავშვები ჰყვირიან და სადილისთვის კი არაფერი მაქვსო.

-- მე მოგართმევ, მჭადიც მაქვს და ლობიოცო... -- მოახსენა ვაჭარმა.

-- ღმერთი გადაგიხდის, თუკი სიკეთეს მიზამ... -- შეევედრა დედაკაცი.

ქმარი დაბრუნდა: კარგად გაძღა: ბავშვებიც დაპურებული, მხიარული ნახა: ცოლს მადლი უთხრა და ჰკითხა:

-- მჭადი, კიდო ჰო, მეზობელს გამოართმევდი, მარა ლობიო ვინლა მოგცაო?

-- ვაჭარმაო! -- უპასუხა დედაკაცმა.

-- უი, უი! გეშინოდეს! რამეს სამაგიეროს მოგთხოვს. ყველა-ფერი მიეცი და, არ დამღუპო, კერას ხელი არ ახლოო.

-- კარგიო! -- დაჰპირდა დედაკაცი.

მეორე წელიწადს იგივე დაემართა. ერთი ორი თვე ქე გამო-კვება ქმარ-შვილი დედაკაცმა ნასესხებით, ჩამოთხოულით, ეკა-ლათი, წიწმატ-ობრახუშით, მარა ბოლოს მუხლებმა უსუსტა და ჭიშკარზე ქვითინი მორთო.

იმ დროს ვაჭარმა ჩამოიარა. დიდი ხორაგი ჰქონდა და თვითონაც ქე ყიდულობდა რაცხა-რაცხას.

-- რას ტირი, ქალბატონო? --- შეპარვით დაეკითხა ვაჭარი.

-- რავა რას ვტირი? ქმარი სამუშაოდან მომივა, შინ უსმელ-უჭმელი ბავშვები ჰყვირიან და სადილისათვის კი არაფერი მაქვსო.

-- მე მოგართმევ, ფქვილიც მაქ და ლობიოცო, -- მოახსენა ვაჭარმა.

-- ღმერთი გადაგიხდის, თუკი სიკეთეს მიზამ! -- შეევედრა დედაკაცი.

- მარტო ლოცვა რავა მეყოფაო -- უპასუხა ვაჭარმა, -- შარ-შანდელი ვალი მაინც გადამიხადე და წლევეანდელს, თუ გინდა, გან-დობო.

-- რაც გინდა ის წეილე, ვინ ოხერი დაგიკავებს, ოღონდ შიმში-ლით ნუ დამიხოცავ ქმარ-შვილსო...

-- ფული არ გექნება, ვიცი, საქონელი მომეციო, --- უთხრა ვა-ჭარმა.

-- რაც იყო, ქე დავკალიო... --- უპასუხა დედაკაცმა.

-- აბა, საწნახელს წევიღებო... --- უთხრა ვაჭარმა.

-- წეილეო!.. -- უპასუხა ქალმა.

აბა რა უნდა ექნა ქალს, ქმარ-შვილი შიმშილით ეხოცებოდა?...  
ქმარი დაბრუნდა: კარგად გაძღა: ბავშვებიც მხიარული ნახა,

ცოლს მადლი უთხრა და ჰკითხა:



-- მჭადი, კიდო ჰო, მეზობელს გამოართმევდი, მარა ლობიო ვინ მოგცაო?

-- ვაჭარმაო, --- უპასუხა დედაკაცმა.

-- უი, უი, გეშინოდეს, რამეს სამაგიეროს მოგთხოვს და, არ დამღუპო, ყველაფერი მიეცი და კერას ხელი არ ახლოსო.

-- კერა არ უთხოვია, მარა საწნახელი კი წეილო, ჩვენი ცოდვით სავსემო...

-- არაფერიაო! -- უთხრა ქმარმა, -- თუ ღმერთმა გვიწყალობა ყურძენი, საწნახელს ვინათხოვრებთო.

ასე მიდიოდა წლიდან წელი.

გლეხი-კაცის გაჭირვება კი არ კლებულობდა და ვაჭარი სასეს-ხოთ იძლეოდა ფქვილს და ლობიოს."

მაგიერათ ვაჭარმა ნელ-ნელა წაართვა ჭურები, ადგილები და სახლიც კი.

გლეხი-კაცი მაინც ცოლის მადლიერი რჩებოდა, შიმშილს გადა-გვარჩინეო.

ერთხელ დედაკაცი რომ ტირილით შეეხვეწა ვაჭარს, ქმარ-შვილს ნუ მომიკლავ შიმშილითო, ვაჭარმა უპასუხა:

-- შარშანდელ ვალს თუ გადამიხდი, წეილეო.

-- რო არაფერი მაქ, რა მოგცეო?..

-- გექნება რამეო... მიიხედ-მოიხედე, მე ყველაფერს ვყიდუ-ლობო.

-- ღმერთი, რჯული, არაფერი მქონდეს... ლობიო არ მინდა, მარტო ფქვილი მომეცი, შემოდგომაზე მე თვითონ ჩამოგიტან ქალაქშიო!

-- რავა არაფერი გაქ? ე, ვერ უყურებ, კერიის ქვა რომ აგდია... რათ გჭირია?... მომეცი და ფქვილსაც გასესხებ და ლობიოსაცო.

შეეშინდა ქალს, ეხვეწა ვაჭარს --- ჩემს ქმარს ეწყინება კერიის გაყიდვაო, მარა რას იზამდა?.. ქმარ-შვილს შიმშილით ხომ არ მო-კლავდა და ბოლოს, კერია ვაჭარს მისცა.

ქმარი დაბრუნდა: კარგად გაძლა: ბავშვებიც მხიარული ნახა, ცოლს მადლი უთხრა და ჰკითხა:

-- მჭადი, კიდო ჰო, მეზობელს გამოართმევდი, მარა ლობიო ვინ მოგცაო?

-- ვაჭარმაო! -- უპასუხა ცოლმა.

-- უი, უი! გეშინოდეს. რამეს სამაგიეროს მოგთხოვს... ყველა-ფერი მიეცი და, არ დამღუპო. კერიას ხელი არ ახლოსო.

-- კერია ქე წეილო, -- უთხრა ქალმა.

-- ვაი ჩემი ბრალი! ამოვვარდი კაკალი კაცი! აწი რაღა მეშვე-ლებაო?! -- ყვიროდა გლეხი-კაცი.

დედაკაცმა ტირილი დაიწყო:

-- აბა რა მექნა, კაცო, შიმშილით რავა დაგხოცავდითო?..

-- რაც ავაშენე, დედაკაცო, ქე დააქციე, აწი ჩვენი კაი არ იქნე-ბაო. ის გვერჩია, კერიასთან დავხოცილიყავითო! --- თქვა გლეხი-კაცმა და თვითონ ქალივით დაიწყო ტირილი.

-- ნუ გეშინია. აი ამდენი შვილი დამიზრდია -- ზოგი ხორცს

მოგვიტანს და ზოგი პურს... მჭადს და ლობიოს ის აჯობებსო.

შვილები საშოვარში წვედიდენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ბოლოს დაბრუნდენ.

უფროსმა ვაჟმა ფარა მოდენა, მარა მეორე დღეს ისე დაიფანტა ცხვარი, რომ ნატერფალიც ვერ ნახეს.

დაჯდა უფროსი და დეიწყო ტირილი.

შუათანა ქალმა მეფის შვილი მეიყვანა, მარა სასიძომ ერთი მიიხედ-მოიხედა, "უკერიო ოჯახის რა მეცოდინებაო", თქვა და ქე წვევიდა თავის ავლადიდებით.

დაჯდა ქალიშვილი და დეიწყო ტირილი.

უმცროს ვაჟს ძან დაავიანდა. იმისი იმედიც არავის ჰქონდა. მწუხარებაში იყო ყველა.

ერთ დღეს დეინახეს, რომ უმცროსი ძმა მოდის...

ზურგზე უშველებილი თლილი ქვა ადევს და წინ ერთი ბაყაყი ხტუნვა-ხტუნვით მოუძღვება...

-- ეს რა ქვა მოგაქ და ეს რა ბაყაყი მოგიყვანიაო? --- დაცინვით ჰკითხეს.

-- ეს ჩვენი კერიაა, ვაჭარს რომ ჰქონდა, და ეს ჩემი საცოლუაო.

-- საიდან იცი, რომ ეს ქვა ჩვენი კერიააო? -- ჰკითხეს ისევ დაცინვით.

-- აბა, შენ წადი და შენი საქმრო ერთი წუთით მეიტყუე აქ... შენ კი შენი ფარის ნაგაზები მეიყვანე -- მაშინ გეიგებთ, ჩვენია ეს კერია, თუ არაო...

-- ერთი მაგისიც დევიჯეროთ! -- თქვეს და წავიდენ.

ქალიშვილმა მეფის შვილი მეიყვანა... მეიტყუილა ტკბილი ღიმილით და ჟუჟუნა თვალებით... უფროსმა ძმამ დაუშტვინა, დოუქაქანა და ნაგაზები ენაგადმოვარდნილი მოვარდენ.

მეფის შვილი აღარ მოშორდა კერიას, იქვე მეიტანა თავისით ავლადიდება, მეიყვანა ამაღა და მსახურები.

-- შენ რავა მოგშორდებიო? -- უთხრა ქალიშვილს...

ნაგაზებმა ფარა მორეკეს.

-- ეს ბაყაყი რაღა საცოლუე მოგინახავსო? --- დაეკითხენ უმცროს ბიჭს.

-- მაგი რომ არ ყოფილიყო, კერიას ვინ მომცემდაო? ვაჭარს ჩვენი კერია ტბაში ჩავარდნია და მაგან ამომალეგებიაო.

-- არც ისეთი გლაზაკი ვარ, თქვენ რომ გგონიათო! -- დეიძახა ბაყაყმა. ერთი შეინძრა, შეფაცურდა და ისეთ ლამაზ ქალად გადაიქცა, რომ მეფის შვილი გადაეხვია და ძმობა შეფიცა.

ტკბილათ ცხოვრობს ახლა ნაჭირნახულევი გლეხკაცის ოჯახი-ერთი ძმისთვის საცოლუეს. ეძებენ... ქალის ქორწილი ამ შემოდგომაზე იქნება. მე დამპატიჟეს, თქვენ არა!

ერთი ძირი ვაშლი მქონდა, -  
ორი ძირი ბროწეული;  
ღმერთმა ყველას მოგახმაროთ

მამითქვენის მოწეული, --

დაასრულა არსენამ ზღაპარი.

-- შენც ქე იზამ, მინაია, მაგისტანას! -- გააღიზიანა ნინოიამ ბიჭი.

-- კი, აბა!..

ამ ზღაპარმა და ნინოიის შედარებამ მინა ღრმად ჩააფიქრა-- ზღაპარი თითქოს მასაც ეხებოდა, ოღონდ კერია არავის წაურთმე-  
ვია, თვარა ნამდვილი ჩემი ამბავი არისო, - ფიქრობდა ბიჭი, -  
მარა ე ბაყაყი... მერე ლამაზი... სა მოვნახო... ვნახავ... კერიასაც ვიშოვი!..

და ამ დღიდან სხვაფრად დაუწყო ყურება ნინოიას. ნინოიასაც დაეტყო, რომ მინაიას ერიდებოდა. წითლდებოდა, როცა მინაიე შეა-  
ჩერდებოდა.

რაცაღ მიზეზის გამო ხშირად უმიზეზოთ დაიწყეს ერთმანეთში  
კინკლაობა, ჩხუბი...

-- რა ღმერთი უწყრებათ?... ამ ავადმყოფობამ სრულიად გამო-  
ცვალა ნინოი! -- იტყოდა დიასახლისის პატარა გიმნაზიელი ქალი,  
როცა მათ ჩხუბს შენიშნავდა, და გული მოუვიდოდა.

მხოლოდ მოხუცმა ბებიამ იცოდა, როგორც იყო საქმე და ზოგ-  
ჯერ შეუტევდა გაანჩხლებულ გოგო-ბიჭს:

-- კაია ახლა. ნუ ჩხავით მარტის კატებივით!..

და ორივე უცბათ გაჩუმდებოდა, მიიმალეობოდა, რომ სადმე ისევ  
წაჩხუბებულიყვნენ.

იცოდა ამ მტერ-მოყვრობის მიზეზი თრევამი და ათასგვარ ხალხ-  
ში დაბერებულმა ბიძია არსენამ და მოუთმენლად მოელოდა კე-  
თილად დაბოლოებას.

-- ე! გოგო თუ გავათხოვე, ღმერთმა ქნა, მაშინ ქე მევინახავ  
ერთ კუთხეს, - მივწვები და გავთბები... მაღლი აქ ღმერთს. ჩემი ვერ  
მოვაკალათე, სხვისას მაინც დევისვენებ... საწყალი ჩემი დის სუ-  
ლიც დამშვიდდება...

საქმე მიწურულში იყო.

მინაიი ისე დადიოდა, თითქოს კბილს უჭერს -- სიტყვა არ წა-  
მომცდესო.

ნინოიი ბრაზდებოდა, სრულიად შეუგნებლად, ბუნებითად: რაცა  
გაქვს გულში, რატომ არ მეტყვი და გაათავებო. თითქოს ეუბნებო-  
და ვილაცას... ვის?... განა მინაიას? არა, ისე გამოურკვევლად...

### III

სამზარეულოში ცხელოდა.

ფილაქანი გახურებული იყო.

საჭმელების სუნი იდგა.

მინა წვესს ქაფს ხდიდა.

ნინოიი იქვე იჯდა და კარტოფილს სჭრიდა.

- რატომ არ გოუწმინდე ლაფჩინები ბატონს?

- ერთი ქე გავწმინდე და! -- უკმეხად უპასუხა მინაიამ.

-- ერთი რომ გავწმინდე, იმას მეორე უნდოდა.

-- გულში ჩაუძვრები თუ?... რა ვიცი, რომელი უნდა?

- შენი გულისთვის მე უნდა გამიწყონ...

-- მაცალე ახლა სადილის გაკეთება, ნუ ჩამბზუი ყურში!

-- ბუზიცა ხარ და...

ასეთ განსაცვიფრიბელ არშიყობაში იყვნენ ნინოია და მინაია, რომ კარი გაიღო და შემოვიდა... ოქროპირე.

გოგო-ბიჭი უცბათ გაჩუმდა. ორივეს გაუკვირდა ასე უდროოთ ოქროპირეს მოსვლა.

მინაიამ ქაფქირი თაროზე ჩამოჰკიდა, ხელი შეიწმინდა, თითქოს ხელის ჩამოსართმევად მოემზადა, მარა ოქროპირემ ერთი კი თქვა:

-- გამარჯობა თქვენო! -- და მინაიას ლოგინზე ჩამოჯდა.

-- გაგიმარჯოს ღმერთმა! -- უპასუხა ორივემ თითქმის ერთხმად.

-- რა ამბავია, ბიძია, რომ ჩამოსულხარ? -- ცოტა სიჩუმის შემდეგ იკითხა მინაიამ.

-- არაფერი... პატარა საქმე მაქ...

- რა საქმე ახლა გასაყიდი არაფერი გექნება და საყიდი.

-- რა, გიჟო და --- გლახა ამბავი მოგიტანე...

-- რა იყო?

-- სალდათად მიყავხართ...

-- რაო? -- შიშით იკითხა მინაიამ.

ნინოია უაზროთ შეაჩერდა მინას.

- გუშინ მამასახლისმა ჩამეიარა სოფლები და ყველა ბიჭების სახელი წეიკითხა... სალდათად არიან გაწვეულიო...

-- ხუმრობ თუ? მამაჩემი არ ყოფილა სალდათი და ბაბუაჩემი, რაღა ჩემზე მეიცალებს.

-- არც ექვთიმე ყოფილა, მარა მის შვილს ქე მიათრევენ...

მინაიი ფიქრობდა და ვერაფერი გაეგო. აზრი აზრს ახტებოდა....

- სხვა კიდო ვინაა?

-- ჩვენი ბატონის შვილიც მიჰყავთ... ლუნივერტეტში არის და იქიდანო...

სუპი ძლიერ ადულდა... ფილაქანზე წვეთები დაეცა და შუშხუნი დაიწყო... .

მინაიი მივარდა და თუჯის ქვაბი ფილაქნის ნაპირზე გადადგა...

ოქროპირე, არსენა და მინაიი დიდბანს ბჭობდენ, თუ რა მოემოქმედათ ჭირის თავიდან ასაშორებლათ.

-- ამდენი ხნის კაცი ვარ, მარა ჩვენი კაცი სალდათი რომ ყოფილიყო, არ მინახავს... ნებაყოფლობით თუ წვედილოდა ერთი-ორი კი, თვარა ასე თხებივით გადენა ნეტა რა ამბავია... დავაშავეთ რამე, თუ წყალობას გვიშობიან...

-- ორი შენი ხნის ვარ, მარა არც მე მოვსწრებივარ. სოლომონ მეფეს კი მიყავდა თურმე, თვარა რუსის ხელმწიფეს რათ უნდა დავჭირებოდით... ხომ იცი, ჩვენში იმდენი ბუზი არ არი, ხელმწიფეს რომ ჯარი ჰყავს... აბა ჩვენ რაღა მოხელე ვართ?..

-- წყდებაო იქინე ხალხი... იქნებ მიტომაა...

-- მაი არ ვიცი... ამ ბიჭს რა მოუხერხოთ?

-- მე ისე ვიფიქრე, რომ ჯობია ერთი ჩვენი ივანეს შვილს ვკი-  
ახო.

- არა, თვითონ ივანეს ვკითხვით... იგი გამოცდილი კაცია; შვილ-  
მა თუ ვერაფერი მოგვიხერხა, სხვაგან მოაკვარახჭინებს საქმეს.

როცა სამზარეულოში ასეთი თათბირი იყო, ზევით ოდაში შემ-  
დეგი ხდებოდა.

ბატონებს სუფრა წაუმწარდათ... სუპს საკაზმი აკლდა; ნინოიას  
ჭიქების დადგმა დავიწყებოდა; მჭადი დამწვარი გამოდგა.

ნასადილევამდის არ გაუგია უფროსებს, თუ რამ გამოიწვია სამ-  
ზარეულოს მცხოვრებთა ანგარიშის დაკარგვა.

ბატონებმა სადილი გაათავეს და ადგენ.

ნინოიამ ალაგება დაიწყო და, როცა სუფრის საფარის აღებას აპი-  
რებდა, წითელი ღვინით სავსე ბოთლი წამოაქცია.

-- რა ამბავია, ნინოია? -- მიაძახა ისეც შემკრთალს მსახურს  
ერთ-ერთმა ქალიშვილმა.

ნინოიამ პასუხი არ მისცა, საჩქაროთ ააყენა ბოთლი და უნდოდა  
სუფრის საფარი ისე შეეხვია, რომ ღვინით შეღებილი ადგილი არ გა-  
მოჩენილიყო.

-- რავა თლათ დაგებნა დღეს თავ-ტანი. რა დაგემართა? -- კი-  
დევ გაუმეორა კითხვა, მაგრამ ნინოიამ კარგად იცოდა, რომ ეს კით-  
ხვა არ იყო, არამედ დატუქსვა, გაწყრომა, და ტირილი დაიწყო.

ახალგაზრდა ქალიშვილს შეეცოდა, ახლა გულწრფელად ჰკითხა:

- რა იყო, შე ქალო, თქვი? გტკივა რამე?

-- არა...

-- თქვი, ნუ გეშინია!..

-- მინაია სალდათად მიჰყავთ...

- შენ რა? მაგრამ, როგორც კი კითხვა მისცა, ქალი-  
შვილი მიხვდა, გაელიმა. ნინოიას მხარზე ხელი დაადვა და არაჩვეუ-  
ლებრივის თანაგრძნობით დაამშვიდა.

-- მოკლავენ...

-- რას სულელობ? რამდენი კაცი სალდათად მიჰყავთ, ყველას  
რავა მოჰკლავენ?!

არსენამ ნელა შეჰოაღო სასადილოს კარები და შემოვიდა:

-- ბატონის ნახვა არ შეიძლება?

-- კი, ახლავე... -- უპასუხა ქალიშვილმა და მამასთან წავიდა.

\* \*

სათათბიროთ შეიკრიბა მთელი ოჯახი, დიდი და პატარა, მსახუ-  
რი და ბატონი, შეერთდა სამზარეულო და ოდასახლი...

მაგრამ ვერაფერი გამოარკვიეს... საქართველოდან ეს პირველი  
გაწვევა იყო ჯარში და არ იცოდენ როგორ მოევლებოდა საქმეს  
თავი...

-- ჯერ კიდო ოთხი თვეა სალდათების გაყვანამდის, თუ რამე  
შეიძლება, ვეცდები... -- თავის უნარის, მდგომარეობისა და ცოდ-  
ნის პატივდებით წარმოთქვა მოიჯარადრის შვილმა, რომელიღაც  
კანცელარიის მწერალმა.

-- აბა, აბა, ვეცდებით, ვეცდებით! -- წამოიძახა მოიჯარად-რემაც.

თათბირი დაიშალა.

ყველამ ნაღლიანად მიაშურა თავის საქმეს.

თვით მოიჯარადრეც კი ჩაფიქრდა, ასეთს მოხერხებულს ბიჭს ასე იაფად ვერ იშოვიდა.

ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

მინაიას ნუმერი მიაკრეს და სადღაც გაგზავნეს... სალდათად...

#### IV

თვალი თვალს რო დაშორდება, გული გადასხვაფერდება.

ოთხი წელიწადი დიდი დროა.

ნინოიას სახლიდან არ უშვებდა არსენა... გარდა მინაიას სახისა, არავინ ჩახატულა ნინოიას თვალებში და მინაიასაც არავინ შეჰხვე-რია შესაფერი.

მართალია, აქა-იქ სიმთვრალე... გოგოები... მტლაშა-მტლუში... ჩუმად ფანჯარაზე მიკაკუნება... კარების ჭრიალი და ალერსი, მაგრამ მათ ხომ ვერ წამოიყვანდა თავის სოფელში?!

და მინაიი ძვირ-ძვირად მაინც უგზავნიდა ნინოიას დაახლოებით ამგვარ წერილს:

188... წელსა. პირველად მოსაგონარო, დაუვიწყარო, გაშლილო ვარდო, სულ მუდამ წამში დაუვიწყარო, ძვირფასო, სიზმრად ნახულო, ცხადად ნატრულო, ყოველ წამში მოსაგონარო, ჩემო ვარდო ნინოია! ვისურვებ შენს სიცოცხლეს და კეთილ ბრძანებას ყოველივე შენი მოკეთით. ნინუ ჩემო, მივიღე შენი გამოგზავნილი წერილი და ასეთე მეგონა, რომ წავიკითხე, ახლა დავიბადე-თქვა, ისე გამეხარდა, დიდ მადლობას გწირავთ, ძვირფასო ნინოია! ძვირფასო! მე მეგონა, თუ თქვენ მე დამივიწყეთ, ძვირფასო და საყვარელო ნინოია! ახლა რას გთხოვ: მე უშენობით სიცოცხლე არ შემიძლია და მასა გთხოვ მომიცადო დრომდის. ახლა, ძვირფასო, ვიცი შენი კეთილი გულის ამბავი, იკითხავ ჩემს საწყალ თავს, მე ძან გაჭირვებაში ვარ - არა ისეთე, და არა შენი სიყვარული. ახლა ნინო, აქამდის ათ წერილს გამოგიგზავნიდი, მარა ფული შემომეღია და მიტომ ვერ მოგწერე. ძალიან უფულოთ ვარ, არ ვიცი რა ვუყო. მე, ნინოია, თუ ამ ერთ წელიწადს გავაწიე, ვობისკით მოვალ სახლში და გნახავ. გთხოვ რომ წერილი მომწეროთ კიდო. გწერს თქვენი მოსიყვარულე მინა ხაჭარაშვილი.

ნაიმედევი "ვობისკი", ესე იგი отпуски-ი, როგორც ჰგავს, ვერ მიიღო მინამ, რადგან მხოლოდ სამსახურის გათავების შემდეგ ჩამოვიდა სამუდამოდ. როცა მინაიამ ჩამოსვლის შემდეგ პირველად, როგორც სტუმარმა, ისე შეაღო საღამოს ჟამს მოიჯარადრის სამზარეულოს კარები, დაინახა... არსენა ქვაბებს ფერავდა და ნინოია კი აუთოვებდა საცვლებს.

-- უიმე! -- დაიკვილა ნინოიამ და უთო ქვევით, მიწაზე დადგა.

-- ბიჭო, მინაიი მოსულა! -- დაიყვირა არსენამ და მაშინვე გულში გაურბინა.

- ახლა კი ვერ წამიხვალ ხელიდან.  
ერთმანეთს მიესალმენ.  
- ჩემ მაგიერი გიჭი არავინაა? -- იკითხა მინაიამ, თითქოს ამ  
ოთხ წელიწადს მეტი არაფერი უფიქრიაო.  
- რაც შენ წადი, მერე ბიჭი არ გვყოლია... ა, მე მაჯახირე-  
ბენ... - უპასუხა არსენამ.  
- სხვა? რავა ცხოვრობთ? -- დაეკითხა მინა ნინოიას, რადგან  
ერთხელვე ამოიღო ენა, მუსაიფი ემარჯვებოდა.  
-- ასე, ქე ვართ...  
ზევიდან მოისმა ხმა:  
-- ნინოია! ნინოია...  
ნინოიას ძლოერ გაუხარდა, რომ ძახილმა უხერხულ მდგომარე-  
ობიდან გამოიყვანა, და ოდისკენ გაიქცა, ოდაში კი იმდენი იტრიალა  
სუფრის ირვგლივ, იმდენი შეწითლდა და იცინა უმიზნოთ, სანამ არ  
ჰკითხეს:  
-- რა მოხდა, გოგო, აღარ იტყვი?  
-- არაფერი!.. ეგერ მინაიი მევიდა... -- მერე მოინდომა აღელვე-  
ბის მიზეზის შეკეთება და დაუმატა:  
-- ... და ისე გარუჯულა ვირთხასავით.  
მინაია ზევით ამოიყვანეს.  
გამოკითხეს...  
ათქმევინეს...  
ცისა, ბრისა...  
ჩაი დაალევიეს...  
როცა ახალგაზრდები წავიდ-წამოვიდნენ, მოიჯარადრე დაე-  
კითხა:  
-- ახლა რას აპირებ?..  
-- არ ვიცი ღმერთმანი... რკინიგზაზე მოგცემენ ადგილსო, მითხ-  
რეს... და რავა იქნება საქმე...  
-- ჩემთან კი არ დადგები აწი! --- თითქოს უსაყვედურა მას-  
პინძელმა.  
-- თუ კაი ჯამაგირს მომცემ, დიახაც ქე დავდგები... მარა... --  
გააგრძელა სიტყვა მინაიამ.  
-- ჰო, ვიცი... თურმე შენ წინანდელ ჯამაგირსაც მედავები...  
მარა აკი გითხარი, ექვსი თუმანი შენი სალდათობის საქმეზე დავ-  
ხარჯე-თქვა.  
-- მაინც ქე წამიყვანეს.  
-- იმ ოჯახქორს მივეცი და შენც მოგცე, რა სამართალია?..  
-- და მე რა ვქნა?  
--კაი აბა... ექვს თუმანსაც მოგცემ და მეტსაც... თუ ამ ზა-  
ფხულში პარკს მიყიდი...  
-- რაო? - ვერ გაიგო მინაიამ.  
-- რა და თქვენს სოფელში ახლა ძაან დაიწყეს აბრეშუმის მო-  
წევა. შენ იქაური ხარ... შეიყიდე, დეიბევე ჩემთვის...  
-- კარგი, ბატონო...  
-- შენც ისარგებლე და მეც...

-- ძაან კაი...

- შენს მეტი ნინოიას ნათესავი არავინა ჰყავს? -- დაეკითხა ერთხელ მინაიი არსენას.

-- შენი რა საქმეა? -- მკვახეთ უპასუხა არსენამ. არსენა კითხვისთანავე მიხვდა, თუ რაო უნდოდა ამ ამბის გაგება მინაიას და ასეთს საქმეში თავის ამაყათ დაჭერა საჭიროთ მიაჩნდა.

მინაიი გაჩუმდა.

ახლა არსენა მორბილდა:

-- რათ გინდა, კაცო, მაგის ნათესავები?..

-- ისე...

-- მაინც?

მინამ თავი მოიფხანა...

-- მინდა კაცი მივუგზავნო.

-- რისთვის? -- თითქოს ვერ გაიგო არსენამ.

-- ო!.. უ!.. რა ყოფილხარ, შენ?! ვერ გაიგე, თუ?..

არსენა დაიბნა, მიატოვა გულჩახვეულობა და თვითონაც გამოეზაასა.

-- არა, ჩემზე უახლობელესი არავინ ჰყავს. მე ვარ მამაც, ბიძაც და, თუ გინდა დედაც... მე დავათრევედი გულზე ახუტებულნი... გაათავე საქმე, -- ცოტა სიჩუმის შემდეგ გააგრძელა სიტყვა არსენამ -- სულ სხვის კისერზე ხომ არ იქნები? პარკის ვაჭრობას, სახლში რო იქნები, მაშინაც მოახერხებ... გოგოს ხომ უყურებ, ერთი თქმის მეტი არ უნდა.

-- ვფიქრობ.

-- მზითევი ქე უნდა მოგცეს...

-- ვინ?

-- ა, ივანემ. არ იცი თუ? ტყუილა რათ ემსახურებოდა აგერ ათი წელიწადია.

-- პირობა გაქ?

-- არა... მარა ღმერთს რავე გადავა? ამდენ ხანსაც უნდა გეთხოვებია, ასე დამპირდა, მარა მე არ მინდოდა... კაი ბიჭს ვეძებდი, -- ცოტა არ იყოს თავი შეუქონა სასიძოს.

-- თუ პირობა არ გაქ, მაგისგან ვერაფერს იშოვი...

- ეს ჩემზე იყოს... მეც ქე მაქ ცოტა რაცხა.

არსენას სიტყვები უკლებლივ ასრულდა.

როგორც კი უთხრეს, ნინოიამ თავი ჩაღუნა, ერთი ისეთი ამოიხედა, თითქოს ამბობდა:

- მაღლობა ღმერთს! ამდენ ხანს რათ მაწვალებდაო?

მოიჯარადრე გაჯანჯლდა, მაგრამ ცოტა რამე მაინც მისცა.

დიასახლისებმა საცვლები და ერთი ჩითის კაბა უყიდეს, რამდენიმე ძველი კაბა გადაუკეთეს და მინა-ნინოიი ჩავიდენ ხაჭარა-შვილების სოფელში, როგორც შეჭვერის ახალგაზრდა ჯვარდაწერილთ.

რაცხა-რაცხა ჰქონდათ.

ბევრი რამ აკლდათ.

ყოვლის უპირველეს აკლდათ სახლი.



ნალია გადაიტანეს... ბოყვები გამოუცვალეს. ახალი ისლით დახურეს... იქით-აქეთ რაღაცა ჩაუმატეს, რაღაცა მიაფარეს... და სახლს დაამსგავსეს.

V

უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო, ნათქვამია, ისე დაემართა მინას.

ჩამოსვლის შემდეგ სული ჰქონდა შეწუხებული ოლღაიასაგან ესტატე გარდაცვლილიყო. ოლღაია სხვას გაჰყოლოდა და უწინ თუ მწარე ენა ჰქონდა, ახლა შხამს ასხამდა.

თავს კი იმართლებდა:

-- აბა, რა ვქნა, გენაცვალე? ობლების შეჭმა უნდა ყველას, და უნდა მევიგერო. რაღა დროს ჩემი გათხოვება იყო, მარა, მევიგვანე ერთი სახური, იქნება ამ დამშეულ მგლებისაგან დამიფაროსო.

"დამშეულ მგელთა" შორის უმთავრესად ათვალისწუნებული ჰყავდა ოლღაიას მინა: მუდამ და ყოველთვის, ყოველ შეხვედრაზე რასმე უკმეხს, უმგვანოს მიაძახებდა. საუბედუროთ ყანაში საზღვრად ერთი დიდი თხრილი ჰქონდათ, რომელსაც ეპატრონებოდა ორივე --- მინაიაც და ოლღაიაც.

ოლღაიას მეორე ქმარი --- გაუთლელი, გონებაჩლუნგი ადამიანი, ყურმოჭრილი ყმა იყო ცოლისა და, როცა კი ლაპარაკი იქნებოდა, მაშინვე კეტს იმზადებდა საჩხუბრად.

ნასალდათევი, ცხოვრებაში ცოტათ თუ ბევრად გამოცდილი მინაიი დიდხანს კანონზე იდგა და გონებას არ ჰკარგავდა, მაგრამ ერთ დღეს ველარ მოითმინა.

საქმე ასე იყო:

მინაიი და ოლღაიი სხვადასხვა მხრიდან მიადგენ საბედისწერო თხრილს.

-- რათ იდგამ ჩემი ობლების ცოდვაში ფეხს, მინაია, რა დამიშავებია? --- დაიწყო ოლღაიამ თითქმის ტკბილათ, --- შარშან იყო და ნახევარი წლის სარჩო გამივერანე, წრეულს წისქვილის სათავეს მიუშვი ღვარი და წამილეკე -- შეგეხარბა რაცხა ერთი ბათმანი? ახლა ადგილის წართმევასაც მიპირობ...

-- რას შემომიჩნდი, დედაკაცო, რა გინდა? ღვარი მე კი არა, ღმერთს ვერ გაუჩერებია და მე რა ვქნა?.. ხან აქეთ მიდის, ხან იქით.

-- დაგატრიალა გამჩენმა უკულმა, -- მოუმატა ხმასაც და გესლსაც ოლღაიამ.

-- დედაკაცო, დემეხსენი, გირჩევნია... თვარა ადგილი რომ გაქ ჩემი ჩატნეული მაქით, არ ვიცი გგონია?..

-- სად? სად? აბა მითხარი...

-- სად და, სადაც შენ დგახარ, იქ... იქინე იყო ბჟოლა... თარჯი...

-- უი, თვალეები კი დამიდგა!.. რავა ყაჩაღობით გინდათ შენცა და შენ როსკიბ დედაკაცს ქვეყნის შეძენა.

-- კარგი, კარგი! თუ კაცი ვარ და ულვაში მაზია, გაკვივლებ მშობიარესავით...

-- სოფრომე! სოფრომე! -- დაუძახა ოლღაიამ თავის ქმარს.  
 სოფრომე მოვიდა.  
 ჯერ კიდევ შორს იყო სოფრომე, ოლღაიამ რომ დაუძახა:  
 -- კაცო, რო მლანძღავენ და მთათხავენ, ერთი ვერ გეიკითხავ  
 საქმეს... შე უბედურო, კაცი მაინც არ გეთქვას...  
 -- რა იყო, შე ღვთის გლახა, დეიჯაბნე დედაკაცები!.. --- შეუ-  
 ტია ახლად მოსულმა მინაიას...  
 -- ასე გვეუბნება, მიწა მომპარეთო, მიწამ კი წეილო მაგი... --  
 უსისინებდა ქმარს ოლღაიი.  
 -- რა მიწა უნდა მომეპარა, შე ქურდო!..  
 -- რა და ეს, აი ეს! -- და მინაი გადმოხტა თხრილზე, -- აქამ-  
 დია ჩემი!..  
 -- წადი აქიდან, თუ თავი არ მოგპულებია!.. გადეთერიე შენ ად-  
 გილში! -- და სოფრომამ ღონიერათ ხელი უჯიკა მინას.  
 მინამ ერთი მუშტი ჩაარტყა სახეში.  
 გლეხები უმოწყალოდ ურტყამდნენ ერთმანეთს.  
 ოლღაიი ჰკიოდა:  
 -- გვიშველეთ! მოკლეს! ვინ ხართ კაცი... --- და თან ჰკაწრავდა  
 და ეპოტინებოდა წასაქცევათ მინაიას.  
 მუშტი, წიხლი აღარ აკმაყოფილებდა გააფთრებულ მოჩხუბართ.  
 ოლღაიი წაიქცა.  
 სოფრომამ წალდი ამოიღო წელიდან და მოუქნია მინაიას; უკანა-  
 სკნელი სწვდა ხელში, წაართვა და მისივე წალდით შუა გაუპო თავი...

## VI

სოფრომა დაეცა. მინაიი იდგა გამტერებული. თვითონ არ მო-  
 ელოდა ასეთს შედეგს.  
 სამივე გაჩუმებული იყო.  
 თვით ბუნება მიყუჩდა.  
 -- ვაი დედა! უ! -- ერთი დაიხრიალა დაჭრილმა.  
 მინამ წალდი დააგდო და საჩქაროთ წავიდა, თითქმის გაიქცა.  
 ოლღაიამ ტირილი მორთო.  
 ხალხი შეიყარა. მორბოდნენ ჯერ ქალები, უკან კაცები და სულ  
 წინ "მოციცქინობდენ" ბავშვები.  
 მოვიდა ნინოიცი.  
 -- ამას რაღა უნდა აქ?.. --- იკივლა ოლღაიამ...  
 -- კაცი მოკლეს და კიდევ თავს დადგომია! დასაცინავათ თუ?--  
 გაისმა ხალხში.  
 ნინოიას თითქმის არ გაუგონია სიტყვები. იგი მისჩერებოდა  
 მომაკვდავს... ტვინში-არეული სისხლით შესვრილი იყო მთელი სა-  
 ხე... პირს აღებდა, თითქოს სწყუროდა, პასიკია ანწლით უგერებდა  
 ბუზებს.  
 -- წევიდეს ეს უნამუსო! -- ჰკიოდა ვილაც.  
 -- წადი, ქალო, რას უყურებ!--წყნარათ უთხრა ვილამაც ყურ-  
 ში.

ნინოიი შეკრთა. კინაღამ გაუვარდა გულზე ახუტებული ბავში. შებრუნდა სახლისკენ ძლივ-ძლივ, ფეხის თრევით გაემართა.

არ უნდოდა ქმრის ნახვა -- ეშინოდა და თან რაღაც ძალა მისკენ მიათრევდა...

მინაიი ცეცხლის პირას იჯდა. თვალეზრავარდნილი, სახეგაფითრებული, ჩაფიქრებული. ცოლის ღობეზე გადმოხტომა გაიგონა, იამა... მოუნდა ალერსი, ხვევნა... ადგა, თარო გააღო, არაყით დიდი ჭიქა გაავსო და ხარბათ დალია...

ნინოიი შემოვიდა. კუთხეში დაჯდა ლოგინზე. ეშინოდა ქმრის... თან იზიდავდა გაფითრებული, ჩაფიქრებული, თვალეზრავარდნილი ქმარი, რომელიც ისევ კერიასთან დაჯდა სამფეხზე. ნინოიას პირდაპირ... თავის დღეში არ ყოფილა მინა ასე მიმზიდველი.

მინას დიდი ხანია უნდოდა ნინოი თავისკენ მიეზიდა, ჩაებლუჯა, დაეკოცნა მაგრათ. მწვავეთ... და რაღაც აჩერებდა.

მოკლული აღარ ახსოვდა... არც ოლღაიას კივილ-ტირილი... გულზე აწვა მაჯლაჯუნა... ვნება ღელავდა... მაგრამ როგორ დაეწყო... რცხვენოდა, ერიდებოდა.

ბავშმა დაიძახა "ბაბა"!

ნინოიამ იგრძნო, რომ მყუდროების დარღვევის შემდეგ უნდა მომხდარიყო რაღაც საშინელი, მიცვალებულის სასაცილოდ აღება. ღმერთის შეგინება... საშინელი... საჩქაროთ ბავშს ტუჩი თავის გულზე მიადებინა და ისე გააჩუმა... მინა იზიდავდა.

-- მომიყვანე, ქალო, ბაღანეი... -- ტკბილათ, ძლიერ ტკბილათ, თავის შებრალებით, სიყვარულით თხოვა მინამ.

დაჭიმულ ბაწარავით გაწია ამ თხოვნამ ნინოიი ქმრისკენ, ადგა ლოგინიდან, მაგრამ თავი შეიმაგრა, შეჩერდა, თითქოს ბავშს უვლისო.

მინაიი შეეგება.

ბავშს ხელი მოუსვა ლოყაზე. ბავში მამას აეხუტა. ქალი მიჯდა ისევ ლოგინზე და ნამალევით აგზნებული თვალით შესცქეროდა მინას.

მინამ ბავში იქვე მდგომ საბუდარში ჩასვა. ბავშს გაუხარდა და შიგ ქანაობა დაიწყო.

მინა გვერდში დაუჯდა ნინოიას.

ჩუმათ იყვენ.

-- იყავი?... -- იკითხა მინაიამ თავის შებრალებით, ძლიერ, ძლიერ ტკბილათ.

-- კი...

-- ნახე?

ქალს პასუხი არ მიუცია და ისევ ქვევიდან ამოჰხედა ფერმკრთალ სახეს, ჩაღრმავებულ, არეულ თვალებს... როგორ იზიდავდა ქალს ეს თვალები!

-- არ გეცოდები? რა დამემართა? --- ხვეწნით, მუდარით, სიყვარულით. ძლიერ ტკბილათ იკითხა მინაიამ და, თითქოს შველას ელისო, მკლავებში ხელი მოჰკიდა.

ნინოიამ გაიწია...

ამ მორიდებამ ყოველივე გადაწყვიტა. ორივეს ამ წამიდან დაე-  
კარგა ყოველივე აზრი, ნამუსი, სირცხვილი. ერთი იყო სურვილი  
მხოლოდ: მკერდისთვის მეტი ჰაერი ეპოვნათ, გულში ნადები ამო-  
ენტხიათ. დაქანცულიყვენ, დაღლილიყვენ, დავიწყებოდათ წარსულ-  
მომავალი...

-- გეზარები, დედაკაცო, გეშინია ჩემი? -- კბილის კრაჭუნით  
ეუბნებოდა მინაიი თვალეზგადმოვარდნილი, გაწითლებული ხვევნა-  
ჭიდილში: ნინოიაც ამ დამალებაში რაღაც უხილავს, გამოუცდელს  
გრძნობდა.

-- როცა გავუბედურდი, დევილუპე, მაშინ არ გინდივარ? მაშინ  
შენც სხვებსავით მიტიე გზა?!

- არა! არა! ვინ გითხრა, რად ფიქრობ?..

და თითქოს სურთ ერთმანეთი დაახრჩონო, უდიერათ ეხვეოდენ  
ერთმანეთს. ხელები, თითები რკინის სალტეებივით ეხვეოდა თავს,  
ტანს...

\* \*

გავიდა პირველი სიგიჟე.

ორივე დაწყნარდა.

უცხად მოეშვენ.

თითქოს გაბერილი ბუმტები დაიფშუტენო.

სიტყვას აღარ ამბობდენ.

ნინოიამ საბუდარიდან ბავში ამოიყვანა.

შემოვიდა სოფლის ნაცვალი ზოსიმე იმედაძე.

ცოლ-ქმარი მიაჩერდა.

ელოდენ, რას იტყოდა.

-- უნდა წამოხვიდე.

-- სად?

--- მამასახლისთან...

-- პირდაპირ წვედიეთ ხონში, ბოქაულთან... -- წყნარად უპა-  
სუხა მინაიამ.

-- მამასახლისის საქმეა, რავაც უნდა... იქნება, არც წაგიყვანოს.

-- კარგი...

მიიხედ-მოიხედა. ვედარ მოახერხა უცხად ყოველიფერის მიტო-  
ვება. თვალზე ცრემლი მოადგა. საშინელი სისუსტე იგრძნო.

ბავშს დაეძინა. -- იცი, ზოსიმე. შენ წადი მამასახლისთან: უთხარი... თუ ხონ-  
ში გამგზავნის ან წამიყვანს, გზა მაინც აქითაა... წამოვალ...

-- კაი, მარა რო გაწყრეს?

-- რატომ გაწყრება... კი არსა მივრბივარ... -- ისე ხმაჩავარდ-  
ბილმა, ისე საწყლად უპასუხა მინაიამ, რომ ზოსიმე მარტო წავიდა.  
წასვლისას დაიბარა:

-- არ გეიბნე... მალე მოვალთ...

-- მცივა, ქალო, დამალევინე ერთი არაყი.

ნინოიამ არაყი მოიტანა და მარილწყარილი მჭადი.

დალია.-

შეიშმუშნა --- არაყმა ყელი მოსწვა.

იჯდენ ჩუმათ.

მოკვდა? იკითხა მინაიამ.

-- არ უნდა იყოს მკვდარი... ტირილის ხმას გვევიგონებდით.

-- იქნება გადარჩეს?..

-- ღმერთმა ქნას! -- ნინოიამ ბავშს გადაჰხედა თითქოს უნ-  
დოდა იგი შეეწყალებინა ღმერთს.

-- კიდო დამალევიწე ერთი.

-- გეყოფა...

-- მეც დამალევიწე და შენც დალიე... ცოცხალს არ გავხარ.  
ორივემ დალია.

-- დედაკაცო, ფიქრობდი ამ ამბავს?..

ქალმა ტირილი დაიწყო.

-- ნუ ტირი, თუ ღმერთი გწამს. ისედაც მთელი ტანი მეწვის  
და მეყინება.

-- კაცო, რა ვქნა? ამ ბაღანას მაინც რა ვუყო?

-- ღმერთია, ხალხია... არსენე მეიყვანე, ბებერია, ცოტას გიმ-  
ველის...

ისევ დაჩუმდენ.

-- ღმერთო, ღმერთო! რა ვქენი?!

-- მოხდა, მოხდა!.. ღვთის ნებაა ყოლიფერი... თავს ხომ ვერ  
მოვიკლავთ?..

-- იცი რას ნიშნავს, დედაკაცო, ეს ამბავი?.. მე გამაციმბირე-  
ბენ... შენ აქანე შიმშილით მოკვდები... ამ სახლს ქე დაანგრევენ...  
ვაი... ვაი... მერე ღმერთი რას მეტყვის?...

ნინოიი ბავშს უყურებდა. არ იცოდა, როგორ ენუგეშებია ქმარი.  
წინანდელი ნუგეშის სიტყვებიც ისეთი ულაზათო და ხეპრე გამო-  
უვიდა.

ასე იჯდენ...

არ იცოდენ რა ექნათ...

არ იცოდენ რა ეთქვათ...

ნინოია ორივე ხელით დაეყრდნო მინას მუხლებს. უნდოდა სიახ-  
ლოვით გაეფანტა ქმრის მწარე და მწვავე ფიქრები.

ბოლოს ვერ მოითმინა --- ერთი რჩევა მისცა:

-- გეიქეცი!.. აქანობას ისე მოვუვლი... არ დევიხოცებით შიმში-  
ლით... დრო გავა... მოხვალ.

-- სად გევიქეცი, ნინოია, სად? რას მეუბნები?

-- წადი გურიაში, სამეგრელოში... ვინ გდევს ახლა?

მინაიი ჩაფიქრდა.

ჭიმკარზე ცხენი შეჩერდა.

ვინ უნდა იყოს? -- გაიფიქრა ორივემ.

-- პრისტავი! ვაი დედა! ცოლო და შვილო! -- თითქოს გულში  
დაიძახა რაღაცამ...

-- უთხარი, საცხა წევიდა-თქვა, -- მინაიამ ვერ მოისაზრა კარ-  
გათ ცოლის სიტყვები და უნდოდა პატარა დრო დარჩენოდა... ტყე-  
ში აპირებდა მოფიქრებას. "დრო ყოველთვის მაქ ისევე დავბრუნ-  
დეო" ---- გაუელვა თავში... უკანა კარებიდან გაიპარა.

ჭიმკართან მამასახლისმა თვალი მოჰკრა.

-- მინაია, მეიცადე, პრისტავი გიბრძანებს.

რადგან ერთხელვე გაიფიქრა ტყეში "ერცახა" ჩაფიქრება, მინაიამ თავი ველარ შეიკავა. ნამდვილ იქ გამოვნახავ ხსნის საშუალებასო. თითქოს არ გაეგონოს მამასახლისის სიტყვები, უმატა ნაბიჯს.

-- გაჩერდი, რომ გიძახიან! --- მიაყვირა მინაიას ბოქაულმა.

მაგრამ მინაიას ცალი ფეხი უკვე ღობეზე ჰქონდა მიბჯენილი. ეზოს გადაღმა ტყეში გადასახტომათ... არ მიაქცია ყურადღება ბოქაულის სიტყვას.

-- Арестовать, связать и привести! განრისხებულმა ბოქაულმა და ორი კაზაკი მყის ჩამოხტა ცხენიდან და გაეკიდენ მინას.

მინა გარბოდა. ქაცვი და ეკალი ორივე მხარეს ედებოდა... აბრაზებდა კაზაკებს: მინას კი ავიწყებდა პირვანდელ მიზანს -- ტყეში მოეფიქრა, როგორ მოქცეულიყო -- და აქეზებდა გაიქეცი, გაიქეციო.

ერთი კაზაკი იმდენად დაეწია, რომ მათრახის შემორტყმა მოუხერხა.

მთლად გახელდა მინა -- გარბოდა, რაც შეეძლო.

მეორე კაზაკმა თავი დაუარა.

და მინა დაიჭირეს.

ერთი ორი კარგათ მიართყეს.

--Я солдат! -- მოიგონა ძველი ნაცნობი სიტყვა მინამ.

--Какой ты солдат, убийца, чортов сын! --მიაძახეს კაზაკებმა, ერთი ორი კიდევ უთავაზეს და, რადგან ხელის შესაკრავი არაფერი ჰქონდათ, რაღაც საოცრად მოუღვლიჭეს უკან მკლავები... ასე მიათრიეს "ჯიკავ-ჯიკავით" ბოქაულთან.

-- შენც გაყაჩაღებას მიპირებდი? --- დაცინვით დაეკითხა მინას ბოქაული.

ხალხში, რომელიც გაბრაზებული იყო მინაიის საქციელით, ამ "უჯაათმა" მოქცევამ სიბრალული გამოიწვია პატიმრისადმი.

## VII

საპატიმროში მინაიი მოეშვა, მოითენთა. მუდამ ახსოვდა თავისი დანაშაული, ჩუმათ ღმერთს ევედრებოდა პატიებას. ბრუნდსა და მართალს, მთავრობის პირებს და პატიმართ გულწრფელად ეუბნებოდა აღსარებას და სასჯელის შემსუბუქებას არა თუ არ მოელოდა, არც კი თხოულობდა.

-- რა უთხარი, კაცო, გამომძიებელს? - დაეკითხა ერთი პატიმართაგანი მინაიას.

-- რას ვეტყვოდი... მოვკალი... დამნაშავე ვარ... ღმერთმაც იცის და კაცმაც.

-- ღმერთმა იქნება იცოდეს, მარა სხვებისთვის რომ არ გეთქვა, ქე გერჩია, ძმაო. კაი ვეჭილი ისე დააბნევდა მოწმეებს, ღმერთსაც კი ეჭვი შეეპარებოდა, იქნებ ასე ყოფილაო...

-- უი, რას ამბობ?.. კაცის სისხლი მაქვისერზე და კიდო ტყუილი ვთქვა?..

-- დიდი ვირი ყოფილხარ, ჩემო ძამია. -- უდარდელათ უპასუხა ახალმა ამხანაგმა, გადაბრუნდა სკამლოგინზე და ზურგი შეაქცია მინას.

\* \*

ნინოის და პატარა "ბალანის" ნახვამ დიდხანს ატირა მინაია.

მუდამ ფიქრობდა მათზე, მარა ახლა მაინც, როცა ასეთი გრძნობის სინაზე შენიშნა ნინოის, როცა პატარა ბალანმა გაიმეორა უსათუოდ განგებ დიდხანს დედის ნასწავლები სიტყვები:

-- ბაბა, გამალჯობა! კალგათ ხარ? -- რაღა უნდა ექნა მინაიას, თუ არ ეტირა, ეწუხნა, რომ მათ აშორებდენ, რომ ეს ორი ადამიანი უმწეოთ რჩებოდა... არსენა, მართალია, შემპირდა არ მოვშორდებიო. მარა... რას იზამს დაბერებული. დაავათმყოფებული არსენა?

-- კაცო, სრულიად არ გამოცვლილხარ... ისეთი ხარ, რავალიც იყავი... -- ამშვიდებდა თვალცრემლიანი ნინოი მინას.

-- კი... ქე ვარ... არ დამაგდო თლათ ღმერთმა, -- თავის მხრით მინაიი ცდილობდა არ შეენიშვნინებია ნინოისთვის აუტანელი სულიერი მდგომარეობა.

-- ჩვენსას მომატებაა... ჩვენმა ცხვარმა ორი კრავი ქნა... აი ამ გოგოს ხელაა, -- და დედამ მამას გადასცა ბავში.

-- ბაბა, გამალჯობა! კალგათ ხარ? -- კიდევ გაიმეორა ბავშმა გაზეპირებული სიტყვები.

-- კი ბაბია! კი! კალგათ ვარ... --- მოიჩლიქა ენა მინაიამ და მადლობით შეხედა ცოლს.

-- იცი. კაცო, რა? -- საიდუმლოთ დაიწყო ნინოიამ, თითქოს რამე დასამალავი ყოფილიყოს. მინაიამ ყურები დააცქვიტა. --- აქანეი ერთი "ანდუკატიო", ვისაც შეინდომებს, ყველას ანთავისუფლებსო. ქალაღდს სწერს თურმე იმისთანას, რომ ქვას ხეთქავს... იგი გასწავლისო და გააკეთებს ყოლაფერსო.

-- მერე?

-- მერე ვთხოვთ იმას.

-- ის არ უთქვამთ რაი ღირსო? შე საცოდაო, რაც რამე გაბადია, ყველაფერი რომ გავყიდოთ, მაშინაც იქნება ვერ ვიშოვოთ ადუკანტი. მერე, მერე მოწმეებს არ უნდა მოყიდვა... ხარჯი...

-- ოლღაიას თუ ას მანათს მივცემთ, იუარებს...

-- მაგიც ვერ გვიშველის... კიდევაც ავიყრებით... არა, რაც მომივა, მე მომივიდეს -- ახია ჩემზე... ღმერთს ხომ ვერ გევექცევი, არა, ისევე მე ვიყო ცუდად... ოლონდ, ნინოია, ე ბალანე, ბალანე... სახლს ნუ დამიქცევ...

ბევრი ეხვეწა ნინოი, არსენე, მარა მინაიი ვერ დაითანხმეს ერთი "ფინჩხა" ადგილის გაყიდვაზე.

დადგა გასამართლების დღე.

მიტკლის ფერი ედვათ მინაიას, ნინოიას, არსენასაც კი.

წრფელი ჩვენება მისცა ბრალდებულმა, სამწუხაროთ თარჯიმანმა ვერ გადაიღო უნაკლოდ.

სასტიკი იყო ბრალმდებლის სიტყვა. გრძნობდენ ამას რუსულის

სრულიად უცოდინარი არსენა და ნინოი; აქა-იქ გაიგო სიტყვები და ერთიანად შეამჩნია გულქვაობა მინაიამ, და ყურს აღარ უგდებდა... თავი დაღუპულათ მიაჩნდა და ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ რათ გამოჰკითხა წარსულ ცხოვრებაზე ყოველივე დაწვრილებით მთავრობის მიერ დანიშნულმა ვეჟილმა.

ვეჟილი ქართველი იყო. საპატრიოტო რამდენჯერმე მივიდა: აქაც ამშვიდებდა მინაიას და მის ნათესავებს; მინას კარგათ ვერ გაეგო, თუ უფულოთ რატომ იწუხებდა თავს ვეჟილი; გაუგებრობა ბადებდა მასში ეჭვს:

-- უხეიროა ვინცხა, ღმერთმა იცის მაგის თავი და ტანი... უსაქმოა და ჩემთვის ლაყბობსო...

-- ბატონო მოსამართლენო, --- დაიწყო ვეჟილმა, -- საქმე ისე ცხადია, ისე გულწრფელათ აღიარა დანაშაული ბრალდებულმა, რომ აღარაფერი იქნებოდა სათქმელი, თქვენ რომ იცოდეთ, თუ როგორ უყურებს ქართველი ხალხი საერთოდ და კერძოთ ქართველი გლეხი, მიწას...

-- Прошу не откланяться!..

-- გთხოვთ ორიოდე წუთი დამითმოთ, თუნდაც უადგილოთ გეჩვენოთ ჩემი სიტყვები... ქართველ ხალხს შეუქმნია ერთი დიდლებული ლეგენდა "მიჯაჭვული ამირანი". სხვადასხვაგვარათ შეიძლება ამ ლეგენდის ახსნა, მაგრამ უმთავრესი დედა-მარღვი შემდეგია: ყვავ-ყორნები თუმცა გულს უგმირავენ ამირანს, მაგრამ იგი ვერ შორდება სალს კლდეს, მას აჩერებს, მას იზდავს სალი კლდე, მშობელი მიწა...

-- Прошу бросить легенду! -- რაღაც მწყრალათ თქვა თავმჯდომარემ.

ვეჟილი იძულებული იყო მინას სულისკვეთების ახსნა, მკვლელობის მიზეზები მიეტოვებინა და ვიწრო ფარგლებში გაერჩია თვით მკვლელობის ფაქტი.

ბრალმდებელმა ორიოდე სიტყვა დაუმატა წინათ თქმულს და გააბათილა ვეჟილის დაცვა:

-- ეს ღმობიერი გლეხი იყო, რომ პოლიციას წინააღმდეგობა უტყუარი საბუთების და ჩვენებების უარყოფა არ შეეძლო...

მსჯავრი ძლიერ მკაცრი გამოდგა:

მინა ხაჭარაშვილს ყოველივე ღირსება ჩამოართვეს და სამუდამოთ ციმბირის უშორეს ქვეყანაში გაანზავნეს.

როცა ბრალმდებელ-ვეჟილს კამათის შემდეგ ერთმა ახლობელმა მეგობარმა შენიშნა ვეჟილს:

-- თქვენ, როგორც პეტერბურგში იყავით მიჩვეული ნაფიც მსაჯულთა წინაშე დაგეცვათ კლიენტი, ისე იქცეოდით, აქ კი...

-- ვიცი, მივხვდი... მაგრამ, რასაც ჩემის კლიენტის შესახებ ვამბობდი, იგივეა ჩემი სულიერი დრამა... და ველარ მოვითმინე.

-- როგორ?..

-- გრძელი სათქმელია... -- ცოტა დუმილის შემდეგ მოკლეთ მოუჭრა: - მიუხედავათ უზრუნველყოფილ ცხოვრებისა, ნაცნობთა შორის კეთილ განწყობილებისა, ველარ გავძელი უცხოეთში, აქ მო-



ვედი ხელახლად ცხოვრების დასაწყებათ... და რომ ვინმემ ახლა ხელი შეახოს ჩემს პატარა ადგილს, სოფელში სრულიად უსარგებლოს ჩემთვის, წინათ თითქმის მივიწყებულს, სწორეთ არ მოვიქცევი, როგორც შეეფერება კულტურულ ადამიანს, და აქედან რომ პოლიციამ გაძევება მომინდომოს, ვინ იცის, იქნება გავიქცე... ყაჩაღათ გადავვარდე...

## ნაწილი მესამე

### I

ტანჯვა-წვალეზაში გავიდა საუკეთესო წლები. ნინოიას ნუგეშად პატარა გოგო ჰყავდა, მფარველად -- მოხუცი ბიძა არსენა, რომელიც ახლა წვერულვაშგაბურმგნული, მუდამ ძილით ჩასუქებული, უფრო ნაგაზს ჰგავდა, ვიდრე ადამიანს, სარჩოდ მინაიას გამოგზავნილი თითო-ოროლა თუმანი.

უკანასკნელ ხანში ფულის გამოგზავნას უმატა მინაიამ და ეს ამბავი უფრო გულს უკლავდა ქმრის სიცოცხლეშივე დაქვრივებულ ნინოიას.

მინაია თავის დღეში არ იწერებოდა, თუ საიდან შოულობდა ფულს, რა საქმეს ეწეოდა და როგორ ცხოვრობდა. ჩვეულებრივ მის წერილში თავის მდგომარეობაზე ერთი სიტყვა თუ იქნებოდა: "ჩემს ამბავს თუ იკითხავ, ქე ვარ ღვთის წყალობით ჯანმრთელათო".

ესმოდა ქალს, რომ რაღაც ომი იყო, რაღაც არეულობა. მათ სოფელშიც შეიქნა ფაცაფუცი, მაგრამ თუ ამ მოვლენით რაიმე კავშირი ექნებოდა მის "გაციმბირებულ" ქმრის მდგომარეობასთან, ვერ გამოერკვია.

სწორეთ ამ გამოურკვეველობაზე ფიქრობდა ნინოია, უნდოდა ძველებურათ გამოეტანა "ნიშანი" და ჩუმათ ეტირა თავისი "დღესოფელი", რომ ჭიშკარში დაინახა გაჭაღარებული ცხენოსანი.

-- უი, დედა, მინაია არ იყოს! -- შეჰკვივლა ქალმა.

არსენამ ჩელტის ჭიშკარი გააღო და იყვირა:

-- გამოდი, შე უბედურო, გამოდი, მინაიი მოგივიდა!

აირია ერთმანეთში: ბავშვის ტირილი, ნინოიას სიცილი, არსენას გახარებული ბუზღუნის, მეზობლების მილოცვა და მინაიას ღვთის მადლიერი ღაღადი.

-- ვმადლობ ღმერთს. რომ თქვენი თავი არ დამიკარგა, ჩემ სოფელ-ქვეყანაში არ გამომწყვია... -- იმეორებდა მინაიე.

არავინ დაუტოვებია თავის და-ძმების ოჯახში. რომ პატარა პატარა საჩუქარი არ მოეტანოს.

\* \*

უახლოეს კვირას ეკლესია უფრო მხიარულათ გამოიყურებოდა აჭრელებული ქალების თავსაფრებით... ეზოში აქა-იქ გამოჩნდა ახალი ყაბალახი და ზოგს წელზე ეკიდა ვერცხლით დაფერილი ხანჯალი.

მინაიას ისეთმა სიუხვემ და ნინოიას ტრაზახმა, რომ ,ახლა

სახლს ვიყიდით", "ერთი ადამიანურათ უნდა დავესახლოთ", "აწი რაღა მიჭირსო" -- ხალხი ააჩოჩქოლა.

-- აუარებელი ფული ჩამოუტანია.

-- ერთი ხურჯინი თვალმარგალიტი აქ სავსე...

-- კაცის მოკვლა თურმე ბედს შეგძენს...

-- ოღღაი თვალებს დეითხრის....

ასე ლაზღანდარობდა, ოხუნჯობდა და ბაასობდა ხალხი.

მინაიამ ძმის--ესტატის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადაახდევინა... მთელი კონა ორკაპიკიანი თაფლის სანთელი იყიდა, ყველას ერთად მოუკიდა და მერე ჩამოუარა ხატებს და ჩამოურიგა.

ხალხს მოეწონა, მაგრამ ვიღაცამ მაინც დასცინა:

-- გადიდკაცებულა! თავადიშვილია ნამდვილი!..

\* \*

მინაიასთან ახლა ბლომათ ხალხი დაიარებოდა, ვინ შემეწეობას სთხოვდა, ვინ ფულის სესხებას, ვინ ნათლიობას.

მაგრამ მინა გულწრფელათ ეუბნებოდა: -

-- ხალხო, სად მაქ ამდენი ფული? ხაზინა კი არ გამიცარცვავს!..

ერთი-ორი კაპიკი მაქ და იმითი უნდა ვიცხოვრო, თუ რამე გემეწყო...

ჩუმ-ჩუმათ ასესხებდა თითო-ოროლა თუმანს... აბაზად თვეში...

ძველებურათ, ღარიბათ იდგენ, მაგრამ ნინოის ტრაბახი ოდნავ მაინც გამართლდა. შვიდი ქცევა ადგილი იყიდა; ოროთახიანი ოდასახლი დაიდგა, ნალია გადააკეთა და ქვეშ მარანი მოაწყო. არსენამ ახლა გადაწყვიტა --- მოეყვანა მის სოფელში დატოვებული "ერთ-ფეხათ" გაზიარებული ძროხა, რომელიც ინახავდა "დასამარხათ". წავიდა და თუმცა მოზიარეზე ძლიერ გულნატკენი დაბრუნდა, მომატყუა, არ მომცა რაც მერგებოდაო, მაგრამ ერთი კაი უშობელი და ერთიც სახედარი მოზვერი მოდენა.

ორი-სამი წელიწადი არ გასულა, რომ მინაის ოჯახი ყველაზე უკეთესად ითვლებოდა. ეზო "შემოიმრგვალა", ვენახი ჩაჰყარა: საქონელი. ფრინველი ჰფარავდა პატარა, ჩრდილით აჭრელებულ აზოს.

შურით შეჰყურებდნენ მინაიას და მისი ანეტა სასურველ საპატარძლოთ გადაიქცა.

## II

-- გმადლობ, ქალბატონო ეფროსინე, რომ გვკადრულობ და გვნახულობ.

-- რას ბრძანებ, ბატონო მინა, რისი მეკადრებო?! ცარიელმა აზნაურიშვილობამ რა ქნას? გლეხი რითაა უარესი? ღმერთს ასე გოუჩენია, თვარა ჩემთვის სულ ერთია გლეხიც და თავადიც, შვილები არ დამეხოცოს!..

-- გლეხი კი, მარა მე...

-- რა გამომძიებელი და მოსამართლე მე მნახე? თუ რამე ცუდი ჩაგიდენია, ღმერთს ეტყვი პასუხს. მე კი პატიოსან კაცად გიცნობდი... შენთან საქმე მაქვს, ბატონო მინა... მახარობელი ვარ და მოციქული...

-- გვიბრძანე, ქალბატონო!

ნინოიას შეეშინდა, კაი ახლა კი მოგვთხოვა სესხად ფულიო.  
"დეიკარგება, ისე დეიკარგა ჩემი ქმარ-შვილის მტერი და ავი!" --  
გაიფიქრა ქალმა.

-- შენ, ჩემო შვილო, ქე გადი იმ ოთახში. როცა საჭირო იქნე-  
ბი, მე თვითონ დაგიძახებ.

ნინოიას გულს მოეშვა, სასმენათ მოემზადა. თავსაფარი შეის-  
წორა და ყბის ქვევით მაგრათ შეიკრა.

ანეტა წამოდგა. ლოყები "აუტკარცალდა", თვალეზი გაუდიდდა.  
იქნება მიჰხვდა ეფროსინეს სიტყვების მნიშვნელობას, იქნებ  
შერცხვა, რატომ თვითონ არ გაველ ოთახიდანო.

არაფერი არ აბრწყინებდა მის არსებას გარდა სიყმაწვილისა...  
სუსტი, მოუხემელი, ჭორფლიანი, მეტად ფეროვანი სახე, ქერა.  
ოთახს მისი გასვლით არაფერი დაკლებია.

ეფროსინემ თვალი გააყოლა.

-- კაი ჩვენი ცოდვა!.. ცხონებული პელაგია მიქაბერიძის მაგი-  
ერათ უნდა მევიდეს მაგი ბიჭი ჩემის ოჯახში? სადაც პელაგია ირ-  
ხეოდა ალვის ხესავით და მანისვით იღიმებოდა, იქ ამან უნდა იბა-  
კუნოს თხასავით? --- ფიქრობდა გულში ეფროსინე, სიტყვით კი  
ასე მიუბრუნდა მასპინძელს:

-- ჯერ ეს მითხარით, ჩემო მირონებო, რამდენი წლისაა თქვე-  
ნი ქალიშვილი?

-- ა? რამდენის იქნება, დედაკაცო?

-- ტყეს რომ ჭრიდენ... სასამართლოში... ის უფროსი იყო... --  
და რაღაც გაუგებარის ანგარიშით განაცხადა: -- თექვსმეტის, ბა-  
ტონო! თექვსმეტისა, თებერვალში შესრულდება.

-- კაი გასათხოვი ყოფილა, კაი ბედი მისცეს ღმერთმა.

-- კი, ქალბატონო, მარა სადაა კაი საცოლე ბიჭი? თლათ ტლუ-  
ხეპრე ბიჭს რომ მივცე, ქე მენანება და...

-- რატომ სოფლის ბიჭს, მე შენ გეტყვი და ზნეობა არ უვარგა,  
სწავლა არა აქვს... რომელი აზნაურიშვილი დაიწუნებს? --- თუმცა  
ეფროსინეს უნდოდა სილამაზეც ქებით მოეხსენებია, მაგრამ ენა არ  
შეუბრუნდა.

-- აზნაურიშვილი რა ჩვენი საქმეა, რათ გვიკადრებს?..

-- შე დალოცვილო, არც გლეხი გინდა და არც აზნაურიშვილი!  
რავა, უძიროთ გინდა ამოგდო შენი ოჯახი?

-- მაგიც მართალია!

-- ჰოდა! დათუნას ხომ იცნობ, ჩემს ბიძაშვილს? კაი მოგცეს  
ღმერთმა, კაი ბიჭი ის იყოს. დახატულია, ნამდვილი დახატული!

-- ?!... რა ვიცი...

-- მოქეიფეა, მარა ხომ იცი, ყმაწვილის სისხლი სჩქეფს.  
ოჯახში მოდგება, ცოლ-შვილს მოეკიდება -- ჭკუაში ჩავარდება.

ნინოიი სიხარულით ძლივს მაგრდებოდა სკამზე.

-- მერე კი ნებავს თვითონ დავითს? -- გაუგრძელა სახელი თა-  
ვის მომავალ სიძეს.

-- ახლა გადაჭრილი არაფერი ვიცი, მარა რავაც შემიტყვია,

უარს არ იტყვის.

მინა საგონებელს ჩავარდა. არაფერი აქვთ დაგირავებულ ეზოსა და ჩამონგრეულ ქოხის მეტი, მარა ამას ქე მეველება, ჩემი ქონგბაც ეყოფა. მოქეიფეა, მარა, ვინ იცის, იქნებ დაჭკვიანდეს; ე ფილიპე ხო ჩადგა ჭკუაში, ცოლ-შვილს რო მოეკიდა მის მერე. ჩემი ქალი რომ დამიგდოს და თვითონ მხოლოდ მამული ასარგებლოს, მაშინ რაღა ვქნა?.. მარა ამ ღმერთსაც კანონი აქვს... ათასი უბედურება თავს დამაწყდა.. ამ ერთს ბედნიერებას მომანიჭებს მართლა, თუ ეს ქორწილი მოხდა, თუ მართლა ჩემი მამობა არ ითაკილა დათუნა თვალაკაძემ, სეხნია თვალაკაძის შვილიშვილმა, რაღა მიჭირს!..

-- კარგა გაიგე, შენ კი დაგენაცვლე, ამბავი. იქნება ი ყმაწვილი არ დაგვეთანხმოს და სოფელ-ქვეყანაში ნუ გამოგვაქვეყნებ...--თანხმობის ნიშნად წარმოთქვა ნინოიამ, რომელსაც ამ საგანზე აღარც კი უფიქრია და საქმის დაჩქარებას ცდილობდა.

-- ეგი ჩემი საქმეა. აბა თქვენ რავა გიმტყუნებთ, რავაც ჩემს შვილს არ უმტყუნებ. მარა ეშენი ქმარი რომ არაფერს უნობს?

-- თქვი, კაცო, რამე!..

-- რა ვთქვა? უარს რავა ვიტყვი? იოსებ თვალაკაძის შვილს მე ქალს რავა დაუკავებ, მარა ქეც მეშინია ცოტა...

-- რასი გეშინია? რასი? ახლა ნუ გამიწყრები და დიდი ნაჯაფი კაცი ხარ, დიდი ვაი-ვაგლახი გადაგიტანია, ჯანმრთელათაც არ ხარ კარგათ. შენი შვილი გეყოლება, რაშიდაც გინდა, მეიხმარ. შენ ბატონი და ის შენი ყმა.

-- ვაი, შენი დამაწყევარი იქნა ისე, რავაც მაგი იყოს? დღე კი-დღე არაფერი და უშველებელ გოუთენებელ დამეში კვნესის... აქ ქარები გაჰკრავს, აქ გული ატკივდება. წელი ტეხს, არ ვიცი...

-- ცუდათ ვარ, ქალბატონო, ცუდათ. მაინც რაც დამბლა არის, თუ რაცხა დამეცა, ორ ფეხს რომ გადავდგამ, უნდა ჩავჯდე და ნახევარი დღე ვისვენო, სანამ ისევ ფეხზე წამოვდგებოდე.

-- აბა, რას დამაბარებ? ახლა ჩემი წასვლის დროა, თვარა ხომ იცი, თუ სახლს არ მიხედე დროზე, მერე არაფერი დაგხვდება.

-- ჩემ ანეტასაც ვკითხავ. რა ვიცი, ასე შობა განათლებული ხალხი და იქნება კაი იყოს, -- თავის გასამართლებლათ თქვა მინამ, რომ პასუხისმგებლობა თავიდან აეცდინა.

-- ანეტა, ანეტა! ა, მოდი, შვილო, აქ მოდი!

თავჩაღუნული ქალი შემოვიდა. წინაგრძნობა ეუბნებოდა, რომ აქ მაზე იყო ლაპარაკი... მის გაბედნიერებაზე.

ახლა უფრო ღონემიხდილათ, საწყლათ ჩანდა ანეტა.

ეფროსინემ არავის დააცალა და ენამოკვართულათ მიმართა.

-- ხო იცი, შვილო, შენი ბედნიერება მინდა. კაი საქმრო ამო-გირჩიე. ახლა შენზეა, თუ გინდა ქე მოგიყვან, თუ არა და---დაგ-ლოცოს ღმერთმა.

ქალი ხმას არ იღებდა და ცდილობდა დედას მიჰკვროდა.

-- დათუნიას ხომ იცნობ, ჩემს ბიძაშვილს? არ გინდა ქმრათ რომ ამოგიდგეს გვერდში?

ქალმა ვეღარ მოითმინა, უხმოთ, ცხარეთ დაიწყო ტირილი, ამო-

ილო ცხვირსახოცი და სახე დედის მკერდზე მიმალა.

ამ ტირილში გადახლართული იყო ქალწულებრივი სირცხვილის, კრთომის, მომავალი ნეტარების, სხვა ქალებზე გამარჯვების, სიხარულის და სხვა ათასი გრძნობის ცრემლები. ეს ტირილი ძირტკბილი და ბოლო მწარი ცრემლები იყო.

-- რა გატირებს, შვილო? -- ეკითხებოდა დედ-მამა.

-- რას კითხავ, ბეჩა, ვითომ შენ არ გამოგიცდია? ეს სიხარულის ცრემლებია! -- ამშვიდებდა ეფროსინე შეშინებულ დედას.

-- სხვა გინდა იქნება? ნუ დამიმალავ, თქვი! -- ეკითხებოდა მაინც დედა.

-- არა, არა, დედა!

-- გინდა დათას მიგათხოვოთ?

ქალმა უფრო მოურთო ტირილს.

-- ახლა ნუ ჩააცივდებით... კი გაყვება, აჰა უკეთესს თუ სხვა ჩვენი სოფლის გოგო იშოვის, ყურში პრასა ჩამაჭრას, მაგი თანახმა კი არა, გახარებულია, მარა რცხვენია სიტყვით გამოთქვას... ხომ მართალს ვამბობ, ჩემო გვრიტო?..

-- რა ეშმაკია! -- ფიქრობდა ანეტა ეფროსინეზე. - საიდან მიხვდა, რომ მინდა. დედამ და მამამ ვერაფერი გეიგეს, ამან კი ყველაფერი სწორათ თქვა ჩემ მაგიერ. დათუნა! ჩემი დათუნა! -- პირველათ ქალმა უცხო კაცს "ჩემი" დაუძახა. შეწითლდა. სახე გაუმხიარულდა. ცრემლები შეახმა. თვალებმა მიიღეს გამომეტყველება. ქალმა გაიღვიძა. სქესი ამოძრავდა.

ეფროსინე მიდიოდა.

-- მობრძანდი, შენი ჭირიმე, მობრძანდი! თუ გინდა არაფერი ყოფილიყოს, ისე მობრძანდი, როგორც სხუმის და საქმე თავისთავად იყოს, -- ეპატიჟებოდა ნინოი მიმავალს სტუმარს იმ იმედით, რომ უფრო დაწვრილებით, უფრო ჩქარ-ჩქარა სცოდნოდა საქმის ყოველი მიხვევ-მოხვევა.

-- ღმერთია მოწამე, ხშირათ, ძაან ხშირათ მინდა მოვიდე, მარა, ხან ჩემი მაზლი გამიხდება ავათ და უნდა დაუზილო ფეხი, გოუხურო მუცელზე მისადები აგურები, ხან ბოვშეების მეშინია, ერთმანეთს თვალები არ ამოკორტნონ, ხან ვინ იცის რა...

-- აბა ასე, ქალბატონო ეფროსინე, გაგვიგე მათი ბრძანება, ჩვენც მევემარაგებით და თქვენს პატივისცემასაც არ დევივიწყებთ, თუ კაცი ვყოფილვართ! -- უკანასკნელათ მოახსენა მინამ ეფროსინეს.

-- ჩემი პატივისცემა! რა სახსენებელია ჩემი პატივისცემა და ისიც პატიოსანის სიტყვის მოცემა?! მეტზე ნურაფერზე შეგაწუხოთ მამამ, ძემ და სული წმინდამ. მე ისეც მეყოფა, თუ ორი ადამიანი, ორივე ჩემთვის ჩემი შვილებივით ძვირფასი, გავაბედნიერე, - ამ სიტყვებს ეფროსინე დიპლომატიურ მოსაზრებით ლაპარაკობდა. მისი ხელობა სრულიად არ ყოფილა მაშვლობა, ამიტომ ერიდებოდა პირდაპირ გასამრჯელო მოეთხოვა, თანაც ცოტა "ხელის ჭუჭყის" შოვნა კი ძლიერ სურდა და ამ ათასჯერ გამეორებით თით-

ქოს აჩერებდა მინას გონებას ამ საკითხზე, არ დაგავიწყდეს, რაც დამპირდიო.

-- ნუ წუხდებით, ქალბატონო, გამოვრიგდებით, მით უფრო, თუ დავმოყვრდით.

-- ეს ჩემს კისერზე იყოს.

ნინოი ჭიშკრამდის მიჰყვა ეფროსინეს და გზაზე რამდენჯერმე გაუმეორა:

-- მოგვიხერხე ეს საქმე და რაც შეიძლება მალე დაწყებულ საქმეს, ხომ იცი, დაჩქარება უნდა. ღმერთმანი, ახლავე შვილივით მიყვარს დათა, თუკი იკადრა ჩემი დედობა.

ორი კვირის შემდეგ მაყრიონი მიადგა მინას ჭიშკარს. უფრო მალეც გათავდებოდა საქმე, მარა მინა ფულათ არასგზით არ დათანხმდა 400 მანეთზე მეტი მიეცა მზითევი ქალისათვის, პირობა დაადებინა სასიძოს არასდროს ქალი თავის სახლში არ წაეყვანა, პირიქით, მოევლო მისი მამულისათვის, რომელიც მხოლოდ სიმამრის სიკვდილის შემდეგ დარჩებოდა სრულ საკუთრებათ ანეტას და არა დათუნას.

ცოლი და ქალიშვილი ცოტა უკმაყოფილო იყვნენ მამის ასეთი ჯიუტობით, სანეტარო ქორწილს შორი დროისათვის დებსო, მაგრამ მინამ მისო ფეხი ერთს ადგილს და თავისიც გაიტანა.

### III

აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო.

სამი დღე გასტანა ქეიამა მინა ხაჭარაშვილისას.

სამი დღე ისმოდა ჭიჭყინი, მთვრალეების "ლოთებო, ნეტავი ჩვენა"...

სამი დღე აღტაცებაში მოჰყავდა სოფლელი გოგოები ახალი სიძის მაყრებს, სულ აზნაურიშვილებს, მოქეიფეებს, უებრო მაცეკვართ, მშვენიერათ ჩაცმულთ, რომელთაც არ დანანებოდათ ამხანაგის ბედნიერებისათვის მთელი კვირით დაექირავებინათ ზურნა.

სამი დღის განმავლობაში ანეტა რაღაც გამოურკვეველ ნეტარებას განიცდიდა.

რათ ღირდა მარტო ეს მეგობარ-ნათესავ გოგოების შური... მე თექვსმეტი წლისა ვარ და ქე გავთხოვდი, ლუკაის სოფიო ოცდაორისაა და ვერ უშოვია ქმარი... ახლა ეს ზრდილობიანი მოქცევა ყმაწვილებისა... სხვებს ქე წაჰკრავს გვრდში მისი ყამახი-ქმარი, მე კი "შენ გენაცვალობით" მელაპარაკება.

ანეტა თვალს არ ამორებდა დათუნას... ყველაფერი მოსწონდა მისი... მესტი, სირმით გაწყობილი... მოკლე ჟღალი ჩოხა და ზედქილები; საპირისწამლე და ლეკურ-ხანჯალი... და თვითონ კი!!! კოკბა ულვაში, შავი, მოკლეთშეკრეჭილი წვერი... დიდი შავი თვალელები...

მაგრამ თქმით ვერაფერს ამბობდა და გულში იმარხავდა ნეტარებას.

გათავდა ნადიმი.

სტუმრები დაიშალენ.

დათუნას მშობლებიც კი წავიდნენ. დათუნამ ერთი კვირა კიდევ იარა ეზოში... მოინახულა სიმამრის მამული... "არც იმდენი ჰქონიაო", წაიბურტყუნა და იგრძნო რაღაც გარდუვალი სურვილი სადმე წასვლისა.

ერთხანს ვერ მოახერხა.

ბედმა გაუღიმა.

ვიღაც ხონიდან ჩამოსულმა გააგებინა დათუნას. შენი დეიდაშვილი დუქანში დასჭრესო და რადგან ახლობელი არავინ დაესწრო, რომ სახლში წაეყვანა, დუქანშივე ექიმობს ფერშალიო.

დათუნა ამ ამბავმა უფრო გაახარა, ვიდრე შეაწუხა; დეიდაშვილის დაჭრას მიჩვეული იყო; იცოდა, არაფერი გაუჭირდებოდა; ამ მოწყენილობიდან პირდაპირ ხონში ჩასვლა კი, როცა ჯიბეშიაც სამი ასიანი ჰქონდა (ერთი ასიანი მამამ ისესხა -- სახლი მიღებდა, ხომ იცი, გადავხურავ და ამ ცოტა ხანში დაგიბრუნებო; ღმერთი იმას უშველის, დამიბრუნებს... დედაჩემს ხომ არ მოწველის?!) და მთელი ამხანაგობა ავანტიურის სანახავათ მოიყრიდა თავს.

შეკმაზა სიმამრის პატარა ჯორი და "ფხიკი-ფხიკინით" ხონისკენ გაემგზავრა.

ანეტას არაფერი უთქვამს წასვლისას, მერე კი ცხარე ცრემლით იტირა. ჭიშკარზე რომ გადადიოდა, მხოლოდ მაშინ გაუბედა სიდედრმა.

-- როდის მობრძანდები, დავით?

-- არ ვიცი, რაღაც საქმეს გავათავებ.

რა საქმე ჰქონდა გასათავებელი, ეს ღმერთმა უწყის. გულში კი დათუნა ჯავრობდა:

-- სულელი დედაკაცი! რა ვიცი, როდის მოვალ...

#### IV

ეზოდან პირველი გადასვლა იყო ძნელი, თორემ შემდეგში დათუნა უფრო ხშირად სახლში არ იყო. ყოველ დაბრუნებისას თითქმის ერთი და იგივე ხდებოდა.

ბუხარი გუზგუზებდა. ოთახში საკმაოდ თბილოდა. ნინოი კიდევ აყრიდა შეშას მუგუზლებს, აფიცებდა ქოთანში ჩამდგარ ყველის ამოსაყვან რძეს.

-- ქალო, ძან ცხელა, ნუ ყრი მეტ შეშას, --- ეტყოდა მინაია.

-- აი საცა დათა მობრძანდება... თბილი ოთახი უყვარს.

-- თბილი უყვარს, თვარა თორნეში შეწვა კი არ უყვარს.

-- ჰო, მართლა, დედა, კმარა!

გარეთ თოვლჭყაპი იდგა. ღამდებოდა. შემოვიდა დათუნა. ყველას თავი დაუკრა. ნაბადი მოიხადა და ცოლს გადასცა, რომელიც პატარა ფინიასავით ელოდა ერთ სიტყვას, ერთ ალერსს, ერთ კოცნას.

მათ შორის არ იყო არც მტრედების ღულუნი, არც კატების ჭინიანი ჩხუბი, არც ირმის "გარეტყანებული სირბილი".

არა, ყველაფერი იწყებოდა საჩქაროთ, ვითარდებოდა მძლავ-

რათ, უფულოთ.

-- ჩქარა ვახშამი მაჭამეთ, დაღალული ვარ, დამაწვინეთ!

სუფრაზე ორ-სამ სიტყვას იტყოდა დათუნა, თუ ვინ თხოვდებდა, ვინ მოკვდა, ვინ დასჭრეს და ვინ გაქურდეს; იკითხავდა ბავშს, ერთ ბოთლ ღვინოს გამოსცლიდა და მიწვებოდა განსაკუთრებულის გულდასმით გასწორებულ ლოგინში და მიიძინებდა.

ცოტა ხნის მერე გვერდში მოუწვებოდა ანეტა; გადახდილ საბანს შეუსწორებდა; დაეყრდნობოდა ხელზე და დიდხანს უცქერდა მძინარე კაცის მომხიბლავ სახეს. გაღვიძებას ერიდებოდა, დაღალულია და მოსვენება არ შევუკრთოო. პირველი მამლის ყვილი ახარებდა, რომ დათუნამ უკვე კარგათ მოისვენა, მეორე ყვილი უკვე არ ერიდებოდა და უფრო ახლოს მიიწევდა ქმრისკენ და როცა ცისკარი მკრთალად შემოიხედავდა ჩითის ფარდით ჩამოფა-

სხვაგვართაც მომხდარა. ძილში უგრძენია ანეტას მხარმკლავზერებულ პატარა ფანჯარაში, ანეტა ან ფეხს ჰკრავდა დათუნას

ფეხთა შორის, ან ერთს ამოიკვნესებდა, თითქოს ძილში ბოდავსო, ანდა --- ძლიერ-ძლიერ ძვირათ -- ხელს გადაუსვამდა თავზე. მაშინ შეიშმუშნებოდა დათუნა, გაახელდა თვალს, მარცხენა ხელს გადახვევდა ზურგიდან ილლიამდე. სუსტი, პატარა ანეტა, როგორც ლავაში თონის პირს, ისე გადაეკვროდა დათუნას გულმკერდს და აპირებდა დაეკოცნა ყოველი სხეული, ყოველი წერტილი, მაგრამ ერთს თუ მოასწრებდა. მძლავრი ხელები, ანეტასთვის ასე ტკბილი, შაქრიანი ხელები, მის მხრებს ბალიშზე აბჯენდა და ესმოდა ვაჟის აჩქარებული სულისთქმა...

ანეტას უნდოდა ნეტარება საუკუნოთ გაგრძელებულიყო, მძლავრი ხელები მხრებზე დარჩენილიყო. თრობიდან არ გამოკვეულიყო.

მაგრამ ყოველივე თავდებოდა.

დათუნა ისევ გადაბრუნდებოდა მეორე მხარეს და ძილს ეძლეოდა... მერმეც შეიძლებოდა ალერსი. ო, რა ტკბილი, რა უსაზღვრო ნეტარების მომნიჭებელი იყო შავი პატარა ულვამებიანი ტუჩებით შეხება; რა საამო თავის მისადებია მისი მკერდი; რა საღმუნებაა, ფუფუნებაა, ბედნიერებაა, როცა დათუნას ხელი გველივით შემოხვეული გაქვს წელზე, თითქმის იხრჩობი ამ ნეტარებით.

მაგრამ რა ძვირია, რა იშვიათია! თითქმის თავის დღეში არ ყოფილა.

შემბოჭველი ხელები, რაღაც დაღბობა, დაშლა, მოთენთა მთელს სხეულში... გაახელდა თვალს და შეხედავდა დიდრონ შავ თვალებს, რომელნიც ზევიდან მას დაჰყურებდნენ, მაგრამ ვერ მოასწრებდა გრძნობის ნათლათ შეგნებას, რომ დათუნა უკვე გადატრიალდებოდა და ძილს მისცემდა თავს...

ხშირათ, ძლიერ ხშირათ, როცა ანეტა ახლო მიუჩოჩდებოდა ქმარს, იგი უკმაყოფილოთ შეიშმუშნებოდა, გაიწეოდა და ეტყოდა:

-- რავა თორნესავით გახურებულხარ, ქალო, გეიწიე პატარა იქით!



ჭემმარტათ არ იყო დათუნაში არც ღულუნი მტრედის, არც ჭიხვინი ცხენის, არც სტვენა ბულბულის, არც ირმის თავდავიწყება --- ხორცი თავდებოდა დათუნას ცოლისადმი განწყობილება... სული არ ჩანდა...

## V

კარგ მომლხენს, თანაც მშვიდ დათუნას ყოველ ნადიმში, ქეიფში პატიჟებდენ; წინათ არაფერს ახდევინებდენ, რადგანაც იცოდენ, რომ არაფერი ჰქონდა.

ახლა კი, როცა გაიგეს მზითვიანი ქალი შეირთოო ("ნაციმბირალი" გლეხის შვილია... თუ მზითვეი არ ჰქონდეს, რათ შეირთავდაო? --- კანონიერათ სჯიდენ ძმა-ბიჭები), ძალათ თავს აპატიჟებინებდენ ამხანაგები, და დათუნაც, რომ წარსული პატივისცემა გადაეხადა, არაფერს ზოგავდა.

პირველათ რაც გადმოჰყვა სიმაძრის ეზოდან, არა თუ უკან არ მოუტანია, ჯორიც კი ხონშივე ჩატოვა. სახლში ქვეითად დაბრუნდა.

მინაიმ ყურები დაცქიტა. ცდილობდა სიძისთვის სახიფათოდ ხელში არაფერი ჩაეგდო: მაგიერათ ქალები, თითქოს უხარიათ, რომ დათუნა ბედოვლათობსო, ტრაბახობდენ სოფელში:

-- დავითი მიქელაძეებში იყო და იქიდან დაბრუნდაო.

-- დავითმა აბაშიძის ნაჩუქარი ხანჯალი წულუკიძეს ათხოვაო, -- და სხვა.

მას მერე, რაც დათუნა მინა ხაჭარაშვილის სახლში სიძეთ ჩავიდა, ოჯახს რაღაც არაჩვეულებრივი ელფერი მიეცა, თითქოს ვიღაცა ღრღნის და ხრავს კედლებსო.

ჭაპანწყვეტით მოუვლიდენ აბრეშუმს დედა და შვილი -- აღებულ ფულს კი გააქრობდა დათუნა.

მოიმარაგებდენ ორიოდე მანეთს დღესასწაულებზე სავაჭროთ და დათუნა გამოთაფლავდა იმ პირობით, რომ მე მივდივარ ქალაქში და გიყიდითო...

მაგრამ დედა და შვილი ვერაფერს უბედავდენ დათუნას.

პატარა შვილი რომ შეეძინა დათუნას, მაშინაც კი კინალამ ერთ სირცხვილში არ გადააგდო დათუნამ მთელი ოჯახი. დაპატიჟებით ბევრი დაპატიჟა ნათლობაზე, სულ დიდი და წარჩინებული პირები; ფულიც წაიღო ქალაქში ზოგიერთ რამის საყიდლათ, მაგრამ დაბრუნებით წინა ღამით დაბრუნდა და სახლში არაფერი მოუტანია. ბევრი მწარე ოფლი დაღვარეს ანეტამ და ნინოიამ, რო საქმე მოეგვარებიათ; დათუნა სირცხვილს მაინც გადაარჩინეს" და სტუმრები ძლიერ კმაყოფილნი წავიდენ.

ერთხელ ისეთი რამ მოხდა, რასაც მინა სრულებით არ მოელოდა.

კვირა დღეს ეკლესიას მოადგა იმ სოფელში კარგათ ცნობილი ფართლის ვაჭარი ებრაელი.

ნაწირვებს ვაჭარი მიხასთან მივიდა და გულუბრყვილოთ უთხრა:

-- ბატონო მინა, ფულს როდის მიბოძებ... თამასუქს ვადა მიუდის... ერთი წელიწადია აგერ და არც თავანი ვიცი და არც სარგებელი...

-- რაო? რა ფულიო? -- გაიკვირვა მინამ.

-- რავა რა ფული, შე ოჯახაშენებულო? შენი სიძის ხელით რომ მოგართვი ხუთი ასიანი, ჩითის ნაჭრები ხომ არ გეგონა.

-- კაცო, ხომ არ გადარეულხარ?.. რას მეუბნები?

-- მაგი შენ და შენმა სიძემ იცით, მარა თამასუქი ქე მაქ შენი ხელმოწერილი. თუ ჩემსას მომცემ, შენი ღმერთმა შენ მოგახმა-როს... თვარა თამასუქი ბევრს გაჭრის...

მინა მიხვდა, როგორც იყო საქმე.

დათუნა არც მაშინ იყო სახლში და არც ერთი კვირის განმავლობაში მოსულა.

და როცა მოვიდა, ცოლმა და სიდედრმა ისე ოსტატურათ მოავარეს საქმე, რომ უსიამოვნების მაგიერ, დათუნა და მისი სიმამრი ტკბილათ გაემგზავრენ ქალაქში მევალესთან მოსალაპარაკებლათ. მოელაპარაკენ. გამოუცვალეს თამასუქი და დაბრუნდენ. ძლიერ დაღონებული იყო მინა. გრძნობდა, რომ ხაფანგში გაება, მაგრამ რა ექნა.

-- გამიციმბირებდნენ სიძეს... ამ სიბერის დღეს გამოჭრიდი ყელს ჩემს შვილს... ეჰ, ასეთი ბედის ვყოფილვარ...

როცა სახლში დაბრუნდა, ერთი გააცივა...

მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, გაეორკეცებინა მუყაითობა და ვალიდან განთავისუფლებულიყო.

მაგრამ არაფერმა უშველა. ფულს ვერ მოუყარა თავი. თუ რასმე იშოვნოდა, ისე უდნებოდა ხელში, თითქოს ფულის მაგიერ თოვლი ჰქონებოდა.

გაყიდა ორი ქცევა ადგილი.

ვალს ცოტა რაღაცა ჩამოაკლო.

გაყიდა ხარები...

ფული ქალაქამდისაც არ მიჰყვა.

ალარაფერი ესმოდა.

ველარაფერს ახერხებდა.

## VI

-- ეს ვინ ჩამოვიდენ ეზოში? --- იკითხა ნინოიამ.

-- არ ვიცი სწორეთ, ერთი მოხელე უნდა იყოს, მამასახლისი ახლავს და სამი ცხენოსანი. ჩვენებურია -- ჩოხები აცვიათ, -- უპასუხა ანეტამ და თანაც მამისკენ მიიხედა. იგი სავარძელში იჯდა, ფეხები შეფუთული ჰქონდა შალით... მისგან მოელოდენ ამოცანის ახსნას.

-- დაუმახე ბიჭს, ცხენები ჩამოართვას.

-- ქე გევიდა თვითონ!

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოვიდა ბიჭი და თქვა:

-- პრისტავია, დათა თვალაკამის ნახვა გვინდაო.

-- არ ბრძანდება სახლში-თქვა, ვერ უთხარი?

-- უთხარი, მარა სულ ერთია, ჩვენ სახლი გვინდაო.

-- რავა სახლი გვინდაო? -- იკითხეს ქალებმა.

-- რავა სახლი გვინდაო? --- ვერ გაიგო მინამ, -- შენ ვერაფერს გააგებიებ კაცს. წადი... აქ შემობრძანდენ.

ბიჭი გავიდა. ორიოდ წუთის შემდეგ ოთახში შემოვიდა სამი კაცი.

-- უკაცრავათ, რომ შეგაწუხებთ. მე სასამართლოს ბოქაული გახლავარ. ეს ვექილია... და მამასახლისს თქვენც იცნობთ უსათუოდ. აზნაური დავით იოსების ძის თვალაკადის სახლი და მამული, -- ბოქაული საჩქაროთ იღებდა პორტფელიდან ქაღალდებს, -- დარჩა, ეს უკვე ორი თვეა, შალომ ისაკის ძე კიკნაშვილს...

-- მერე? --- უაზროთ იკითხა მინაამ.

-- მერე სახლი და ადგილი უნდა დასცალოთ.

-- როგორ? რა? რას ბრძანებთ? მე სადღა წავალ? -- შიშით, თხოვნით მიმოიხედა მინამ.

-- უკაცრავათ, მაგრამ ეს, სწორე მოგახსენოთ, არ ვიცი, --- გაურია ვექილმა თავისი სიტყვა, --- ახლა კი ქილაშვილთან წავიდეთ...

მხოლოდ ამ წამში ნათლათ წარმოიდგინა მინამ, თუ რაც მომხდარიყო. მას წარმოუდგა თვალწინ თავადი ქილაშვილი, ერთხელ დიდი მემამულე, პატივცემული, წარმოსადეგი, ახლა კი სამასხაროდ გამხდარი, ჩამოძონძილი, უსახლ-კარო, მშიერ-მწყურვალი.

მინა წამოდგა, გამოკაჟა თვალები და უსიტყვოდ წამოიქცა.

ახლად მოსული დაუპატიჟებელი სტუმრები შეკრთენ. ბოდიშობდენ და ნელ-ნელა შეუმჩნევლად გაიპარენ.

-- რა დამნაშავე ვართ? კანონი გვიბრძანებს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა... მოვალეს გაუყიდიან დაგირავებულს, აბა როგორ იქნება? -- ფიქრობდენ ჩუმათ მიმავალნი, მაგრამ საზარი სურათი უცრათ გარდაცვალებულისა, ქალების ტირილი, ბავშობის ხრიალი, მთელი სახლი, რომელსაც გაუგებარის, უხილავის მხატვრის ძალით ალაფობისა და დაქცევის ელფერმა გადაჰკრა, უნებლიეთ ჯალათათ წარმოადგენინებდა მათ თავს და ჰქენჯნიდა მათ სინდისს...

ახალმა ამბავმა სოფელი მოიარა, ქალები კივილით, ვაჟები ბღავილით, მეგობარი და ნათესავი, უბრალო ნაცნობი მიდიოდენ.

მათი ყვირილი არ შეიძლება რომ არ უმსუბუქებდეს ჭირისუფალთ ტანჯვას.

მოხუცებმა თავი მოიყარეს. ისინი თვითონ განაგებდენ, რაც საჭირო იყო.

ერთი კაცი დათუნას საძებრად "აფრინეს".

მეორე კუბოს დასაკვეთად წავიდა. რამდენიმე ნათესავების საწვევად წავიდა ახლო და შორს სოფლებშიაც კი.

ჭირისუფალთან ერთი მოხუცი აზნაური შევიდა და შემდეგი სიტყვით მიმართა:

-- მიცვალებულს საკადრისი პატივისცემა უნდა...

-- გვიშველე, შენი ჭირიმე, გვიშველე...

-- გაქვთ რამე ნამარაგევი სახლში?

დედა-შვილმა ერთმანეთს გადახედეს.

-- რა გვექნება, ჩვენ დალუპულებს.. დავძებნით...

მართლაც მოსძებნეს, დაჩხრიკეს ყველაფერი.

ნინოიას შავი დღისთვის ორ-ორ შაურობით გადადებული ოცდაოთხი მანეთი აღმოაჩნდა; ანეტას ერთი ხუთმანეთიანი ოქრო, ოდეს-

დაც მამისაგან ბავშვების ტანსაცმლისთვის მიცემული და დათუნას გულისმოსაგებად შენახული. თვით მიცვალებულს თავქვემ სამი მანეთი და ცხრა შაური უნახეს.

-- ესაა და ეს, შენი ჭირიმე, ბატონო ბართლომე. თუ რამეს მოგვიხერხებ, ღმერთი დაგიმადლებს...

-- შავებს ვიყიდი, კუბოს, ფლავს, პურსა და ღვინოს. არ კმარა, მარა ვაკმარებ. არაფერი მაქვს, თვარა ოხრათ დამრჩეს, თუ დაგიკავოთ. ასეთ დროს რომ გიმტყუნოთ, რაღა კაცი ვიქნები?!..  
სადამოს დათუნა მოვიდა. სული ყელში ებჯინებოდა. იმდენათ სინიდისის ქენჯნა არ აწუხებდა, როგორც სირცხვილი სწვავდა, რომ სიმამრს ხეირიანათ ვერ დაასაფლავებდა.

## VII

დასაფლავების შემდეგ, სახლში მიმავალი მოხუცები ამბობდენ:

-- სიკვდილიც კი არ ეღირსა ამ საწყალს მისი საკადრისი. უჩამიჩო ფლავის მეტი არაფერი ეკადრებოდა? ერთი შესანდობარი ვერ თქვა გულიანად ხალხმა; პური ხალხს არ გაწვდა. მწვანე ღვინო მოკანჭული იყო, ამღვრეული და აპკით სავსე.

-- არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო,--დაუმატა ყმაწვილმა ბიჭმა,--რა მისი საქმე იყო აზნაურიშვილის სიძეთ აყვანა? არ იცოდა, ასეთ საქმეს უზამდა!

-- ერთი შენც სისულელეს მოყვები!.. ანდრიე კვარჯღალავა ვისი აზნაურიშვილია, რომ ზოსიმეი იმედაძის სავსე ოჯახი ქვესკჩელში გაატარა ლოთობითა და ბოზობით...

-- დედა რა ამბავი იყო, რა ამბავი დასაფლავების უკან.

-- რა იყო, ბიჭო? რა მოხდა? -- დაეკითხენ დაწუნებული "მოკანჭული, ამღვრეული და პკიანი", მწვანე ღვინით დამთვრალი მოხუცები პატარა ბიჭს, რომელსაც ხელსახოცში ნახევარი ფურნის პური მიჰქონდა.

-- მღვდელი და ბართლომე ჩხუბობდენ, სულ უსინდისო მამაძალი უძახეს ერთმანეთს.

-- რატომ, ბიჭო, რაო?

-- ხუთ მანეთს დაპირებოდენ მღვდელს და ბართლომემ სამი მიცა.

--- მერე, მერე?..

--- ბართლომე ეუბნებოდა, მეტი ახლა არ გვაქო. -- ახლა თუ არ მამლევე, როცა კიდევ უნდა უწირო, პანაშვიდები გადავიხადო, მერე თქვენ სათოფედ ვერ მოგეკარებათ კაციო. თქვენი აზნაურიშვილობა ფეხებზე მკიდია. თქვენი ნაციმბირალი მკვდარი ქე იქნება თავის ცოდვებითო. ბართლომემ უთხრა "ქოფაკოლო" და ილანძღეს და იგინეს... -- ბავშმა ხელსახოციდან პურს ერთი დიდი ლუკმა ამოგლიჯა და პირში ჩაიტენა.

-- ღმერთი არ სწამთ ამ მღვდლებს, ნამდვილი ეშმაკის ფეხები არიან!.. --- შენიშნა ერთმა.

-- რას ერჩი, შე კაცო? თავისი უნდა. აბა რითი ირჩინოს თავი.

-- შე კაცო, მეიცადოს ერცახე; მკვდარს აცადოს გაცივება და

ჭირისუფალს დამშვიდება.

-- მდვდელს რომ მისი ბაღნები უცივდება და შიმშილი არ იცდის?..

-- მართლა, გადასახურავი არაფერი შემოსულა?

-- რა შემევიდოდა, შე მამაცხონებულო? ვინ არ იცის, რომ დათუნა თვალაკაძე დანავალებს არ გადვიხდის და ტყუილა დასაკარგავი ვის აქ?

-- აბა, რეიზა გამოჭიმეს ი პატოსანი კაცი მუხის ძირში?

-- ერთმა-ორმა ქე მეიძულა თითო მანეთი, ათ-ათი შაური.

-- ღმერთი მოწამეა, რომ მქონოდა, მეც ქე მივცემდი ერთ ორ მანეთს. იმ საწყალ ნინოიას, რომ ვუყურებდი... დატანჯული დედა-კაცი თუ გინდა იგია...

-- რაც შეგვეძლო ქე ვეცით პატივი და გადასახურავი არ გვმართებს...

-- საწყალი ნინოი! სიყმაწვილე გამწარებული ჰქონდა და სიბერეც გაუძალდა. დათუნამ, ვინ იცის, იქნება ხვალ გამოავდოს გარე.

-- აბა რას იზამს, რო მოშვიდება?

-- ცოტა რაცხა ექნება მიჩქმალული შავი დღისათვის.

-- ა, შენი დამკვლელი არ ვიყო!..

-- ღმერთმა გაგიმარჯოთ. - თქვა ერთმა და თავის ჭიშკარს მიადგა.

მას შეხვდა წყალ-ღვინით ხელში ბავში. მოხუცმა ხელზე გადაისხა წყალ-ღვინო და ეზოში ჩავიდა.

\* \*

დათუნას ოჯახი დიდხანს არ დარჩენილა სიმამრის სახლში. რასაც კი ხელი მოავლებოდა მიჰყიდ-მოჰყიდეს, ზოგი ნათხოვარ ურემზე დაჰყარეს და გადაესახლენ თვალაკაძისას.

მოხუცი დედ-მამა შვილიშვილებს, რძალსა და შვილს სიყვარულით და თან მწუხარებით შეხვდა: სად იყო ამდენი სულის სარჩენი?!

ნინოიი რამდენიმე ხნით მეზობლებში დარჩა, რომ მიცვალებულისთვის, როგორც თვითონ ამბობდა, მოევლო.

ხშირათ მიდის იგი საფლავზე. როგორც პირველ ხანებში, ისე აღარ სტირის ახლა ხმამაღლა. არა, ჩუმათ ზის და ეუბნება თავის ქმარს:

-- საწყალო. კერია წაგართვეს, მარა სამინდლეჩიო გაქ. შენი კერია ვერ შეირჩინე, სანამ საფლავში არ ჩადი... ერთი ქვა, ერთი ხის ჯვარი მაინც დამადგმევია შენ თავზე...

დათუნა ძლიერ ძვირათ ესტუმრება სახლს. ოთახში ადგილიც არ არის მისთვის. იგი აქეთ-იქით დადის და რაცხა სამუშაოს ეძებს, რაცხა სამსახურს.

წინათ ქეიფობდა და სვამდა.

ასლაც სვამს.

მაგრამ სევდა ასმევიანებს, თუ სმა ასევდიანებს, ძნელი გასაგებია.

ანდა რას გაიგებ იმ ადამიანისას, რომლის სახე ყოველ გამომეტყველებას მოკლებულია და რომლის ენა არ არის გაწაფული გულში ნადები გამოთქვას? ლოთობის დროს თუ თავის სოფელში მიმავალი ნახა, თაროდან მედუქნეს პატარა ბუბლიკებს ჩამოაღებინებს, მგზავრს ღვინოს დააღვინებს და ეტყვის:

-- თუ კაცი ხარ, ბავშებს სახლში მიუტანე... შორს არაა შენგან... ცოლი კი უცდის ქმარს და --- საკვირველია!---ისეთივე სიყვარულით ელის, როგორც წინათ. ხშირათ მიიკრავს ნახევრათ ტიტ-ივლ ბავშს გულზე, ჰკოცნის. ზოგჯერ სტირის, ეაღერსება... და ამ კოცნა-ტირილ-აღერსში დიდი ნაწილი დათუნას ეკუთვნის, რომ მიიღებდეს და შეიშნობდეს.

1914 წ.